ყოველდღიური გაზეთი

ახალი თაობა

Akhali Taoba

akhalitaoba.ge

სამშაბათი, 2 ნოემბერი, 2021 №206 (8735) ფასი: 60 თეთრი

„გოგონამ კარი გააღო და მამაკაცმა ყელში დანა ჩაარტყა“

ვერაზე ტაილანდელი ტრანსგენდერი ქალი მოკლეს

გვ.5



„გახარიასა და ნაციმოძრაობას შორის კოალიცია წალენჯიხაში შედგა“

გვ.2

კახა კუკავა: „ახლა აქციებს აზრი არა აქვს, პირიქით, ეს გამოიწვევს კიდევ უფრო მეტად ოპოზიციის დასუსტებას“

„ვინც პარლამენტიდან არ გამოვა, „ოცნებას“ არჩევნებს „გაუპრავებს“

გვ.3

დავით ჭიჭინაძე: „ოპოზიციის შეხვედრები ღია უნდა იყოს, ხალხმა უნდა იცოდეს, ვინ ეკურკურება „ოცნებას“

შოთა მალაშხია: „ხელისუფლების ბოლო მანიპულაცია ჩაატარა ცესკომ ბიულეტენების გაბათილებით“

„სააკაშვილის ციხეში ყოფნა „ოცნებისთვის“ დეთის კასრია“

გვ.4

„მე არასოდეს ვმდგარვარ აქციაზე, სადაც ყვიროდნენ, რომ არჩევნები გაყალბდა“

გვ.3

გვ.2

პრემიერი ღარიბაშვილი იბიარდის პრეზიდენტს შეხვდა

გვ.4

დიმიტრი ლორთქიფანიძე: „სააკაშვილი ამერიკელებმა შემოიყვანეს“

ISSN 1987-9385

2 ლევან ვარშალომიძე პარლამენტს ტოვებს

5 „კარალიოკს ვჭამდი და უცბად დამეტაკა ტუჩებში“ ხონში ქალი ტურამ დაკბინა

5 მიხეილ სააკაშვილის გორის ჰოსპიტალში გადაყვანა არ იგეგმება

5 თბილისის აეროპორტში არადეკლარირებული ოქროს ნაკეთობების შემოტანის ფაქტები აღიკვეთა

„გახარიასა და ნაციმოძრაობას შორის კოალიცია წალენჯიხაში შედგა“

კახა კუკავა: „ახლა აქციებს აზრი არა აქვს, პირიქით, ეს გამოიწვევს კიდევ უფრო მეტად ოპოზიციის დასუსტებას“

ნონა ცაბაძე

„ახალი თაობის“ კითხვებს კახა კუკავა პასუხობს.

– ბატონო კახა, დასრულდა არჩევნების მეორე ტური. რა მოლოდინიც იყო, ის შედეგი დაიდოო. ნაწილი თვლის, რომ საზოგადოება უფრო გაიზარდა პოლიტიკურად და ეს ამ არჩევნების შედეგმა აჩვენა, სულ მინიმალური სხვაობით წააგო ოპოზიციამო. რას იტყვით თქვენ?

– პრინციპში, მოულოდნელი არაფერი არ მოხდა, ყველაზე მოსალოდნელი სცენარი რაც იყო, ის განვითარდა. საზოგადოება გაიზარდაო, ამ აზრს ვერ დავეთანხმები. საზოგადოება რომ გაზრდილი არ არის, ეს პირველ ტურშიც გამოიკვეთა. საზოგადოება რომ გაზრდილი იყოს, მაშინ ეს ორი პარტია არ აიღებდა ხმების ასეთ დიდ რაოდენობას. საზოგადოება რომ არ არის საკმარისად მომწიფებული, იქიდანაც ჩანს, რომ თან მოთქვამს ეს საზოგადოება, არც ქოცი გვინდა, არც ნაცი და მაინც იძულებულები ვართ, მათ შორის გავაკეთოთ არჩევანი. მეორე ტურში მოსთქვამს, მაგრამ მეორე ტურში გადიან იმიტომ, რომ საზოგადოების დიდი ნაწილი სწორედ მათ აძლევს ხმას. ასე რომ, ამ მხრივ არ ვთვლი, რომ ამ ქვეყანაში რაიმე შეიცვალა.

– მილიონი ამომრჩეველი არ მივიდა არჩევნებზეო. ანუ მათ არც ერთი უნდათ და არც მეორე?

– ეს აბსოლუტურად არასწორი სტატისტიკაა. ჯამში 3,5 მილიონი ადამიანია ამომრჩეველთა სიაში, ოღონდ უნდა გავითვალისწინოთ, რომ დაახლოებით მილიონი ადამიანი არის ქვეყნის ფარგლებს გარეთ გასული. ამიტომ, როდესაც ითვლიან პროცენტს 3,5 მილიონიდან, ეს, რა თქმა უნდა, აბსოლუტურად არასწორი პროცენტი გამოდის. დათვლილი უნდა იყოს 2,4-2,5 მილიონიდან და ასე რომ, აქტივობა ჩვენთან დაბალი ნამდვილად არ არის, საკმაოდ მაღალია. რა თქმა უნდა, გარკვეული რაოდენობა ამომრჩევლის დარჩა სახლში, მაგრამ არა ის რაოდენობა, რასაც ცსკ-ო აცხადებს.

– სულ იყო მოლოდინი, რომ მესამე ძალა გამოჩნდებოდა, მაგრამ საზოგადოებას ისევ ცუდსა და უარესს შორის მოუწია არჩევანის გაკეთებაო. თქვენ რას ფიქრობთ?

– გეტყვით მთავარ დასკვნას, ვცდილობდი, რომ არჩევნებამდე არ გამეკეთებინა. ამ არჩევნების მთავარი დასკვნა არის შემდეგი: ნაციონალური მოძრაობა რებრენდინგს არ ექვემდებარება. ნიკა მელიამ გააკეთა მაქსიმალური, რაც შეიძლებოდა და აწია მაქსიმუმზე ამ

კოალიციის შანსები. ამის მეტი შეუძლებელია. აქედან გამომდინარე მე ვფიქრობ, რომ თუ ოპოზიცია რაღაც ახალი სტრატეგიის ძებნას დაიწყებს...

– კერძოდ?

– მე ვფიქრობ, რომ ნაციონალური მოძრაობა და დანარჩენი ოპოზიცია ერთმანეთისგან უნდა გაიმიჯნოს, რადგან ნაციონალური მოძრაობა არ ექვემდებარება რებრენდინგს. ამიტომ ჯობია, იყოს არჩევნებში მონაწილე ცალკე ნაციონალური მოძრაობა, რომლის ლიდერი იქნება მიხეილ სააკაშვილი და სადღაც 15-20%-ის ფარგლებში მიიღებს მხარდაჭერას. ხოლო ოპოზიციური კოალიცია, რომელიც არ იქნება მიბმული ერთ რომელიღაც პოლუსს, ჩემი აზრით, უნდა დადგეს ცალკე, რომელიც შეძლებს იმ შუაშისტების ხმების მიღებას.

– მეტი მხარდაჭერა ექნება?

– გაცილებით მეტი. ამ ოპოზიციური კოალიციის სტრატეგია რა იყო, გამოდიოდნენ და ამბობდნენ, ეს არ არის ნაციონალური მოძრაობა, ეს არის კოალიციაო, ეს საკმაოდ არადამაჯერებლად ჟღერდა, რადგან კოალიციის ლიდერებს შორის არც ერთი არ იყო არა ნაცი, ყველა ყოფილი ნაცი იყო. ასევე, ჩვენ ვუყურებდით, რომ ამ კოალიციის მიტინგებზე, ყველგან მიმდინარეობდა მიშა, მიშას ძახილი, მისი დიდი პორტრეტები და ასე შემდეგ. მე მესმის, რომ სააკაშვილს თავისი მხარდამჭერები ჰყავს, მაგრამ როდესაც მის მოწინააღმდეგეებს ეუბნები, რომ სააკაშვილი არ მოვა თუ კოალიცია მოიგებს და ამ დროს კოალიციის დროშაზე, გერბზე და ყველგან სააკაშვილი ხატია, ეს ცოტა რთული დასაჯერებელი გამოდგა. მე ვფიქრობ, სწორედ ამის გამო, ანტი მიშას ხმები მაინც წავიდა „ქართული ოცნებისაკენ“.

– მაინც გაუჭირდა „ოცნებას“ მოგება, უნდა ვაღიაროთ.

– კი, გაუჭირდა, თუმცა ჩვენ ნუ შევაფასებთ მარტო მეორე ტურის შედეგებს. მეორე ტური ჩატარდა მხოლოდ მსხვილ ქალაქებში და მსხვილი ქალაქებიდან ჩვენ ვნახეთ, რომ თბილისში არ გაუჭირდა. გაუჭირდა დასავლეთ საქართველოს მსხვილ ქალაქებში, რაც თავისთავად კარგია, ცუდი არ არის, მაგრამ საერთო სურათს თუ შევხედავთ, მხოლოდ ქუთაისის, ბათუმის და ზუგდიდის მონაცემები ფონს ვერ შექმნის. ეს მეორე ტურის ფონია, რომ ყველგან 52-48%-ზე დაიდო, თორემ მთლიანობაში ეს სურათს ვერ ცვლის ოპოზიციის სასარგებლოდ. ამიტომ ნაციონალური მოძრაობა და დანარჩენი ოპოზიცია, ეს უნდა იყოს ორი ცალცალკე შეთავაზება ამომრჩევლისთვის. გაერთიანებული ოპოზიცია უნდა იყოს მრავალფეროვანი.

– ოპოზიციამ პროტესტს მიმართა, გაგვიყალბეს არჩევნებიო, დაანონსეს აქციები. ამაზე რას იტყვით? გააყალბა „ოცნებამ“ არჩევნები?

– პირდაპირ ვთქვათ, რომ ოპოზიციას გაყალბების მტკიცებულებები არა აქვს ხელში. რისი მტკიცებულებებიც გვაქვს, მოსყიდვა, რომელიც ბევრგანაც იქნა გადაღებული, მარშრუტკები და ქალები, ეს აპრიორი ვიცოდით. როდესაც ოპოზიცია პარლამენტში შევიდა და შარლ მიშელის შეთანხმებაზე ხელი მოუწერეს „ქართულ ოცნებას“, ამით თვითონვე დაეთანხმნენ ხელისუფლების პირობებს. ამიტომ ჩხუბის მერე ხელს აღარ იქნევენო. ჩემს რჩევას თუ მიიღებენ, ამ აქციებს აზრი არა აქვს, პირიქით, ეს გამოიწვევს კიდევ უფრო მეტად ოპოზიციის დასუსტებას და მარგინალიზაციას. ეს ეტაპი არის წაგებული, სხვათა შორის, არ არის წაგებული სამარცხვინოდ, საკმაოდ ნორმალური შედეგები იქნა ნაჩვენები, ამას სჭირდება გაანალიზება, სად იქნა დაშვებული შეცდომა და რის გამოსწორება შეიძლება.

– წალენჯიხის პრეცედენტზე რას იტყვით? გამონათება იყოო, ასეა?

– ბევრი კითხულობს, წალენჯიხაში რა მოხდა, როგორ მოხდა წალენჯიხაში მართლაც განსაკუთრებული შემთხვევა. იქ ყველაზე კარგი ხალხი ცხოვრობს, ყველაზე კარგი მეგრელები, თუმცა მარტო მაგის დამსახურება არ არის წალენჯიხის შედეგი.

– რის დამსახურებაა?

– იქ მოხდა საინტერესო ამბავი. გახარიასა და ნაციონალებს შორის შეიქმნა კოალიცია და წალენჯიხის პრეცედენტი არის დასტური იმისა, რომ პრაქტიკულად ოქროს გასაღები დღეს არის გახარიას ხელში.

– გახარიამ მოაგებინა წალენჯიხაში ნაციონალებს?

– კი, რა თქმა უნდა. თუ გინდა, ვნახოთ შედეგები. ქალაქის მაჟორიტარად გავიდა გახარიას პარტიის წარმომადგენელი. ის ვერანაირად 50%-ს ვერ აიღებდა, რომ არა ნაცების მხარდაჭერა. ანუ ქალაქის მაჟორიტარად, ნაციონალურმა მოძრაობამ წალენჯიხაში მხარი დაუჭირა გახარიას კანდიდატს, აბულაძეს, სამაგიეროდ, გახარიას ხალხმა მერის არჩევნებში დაუჭირა მხარი ხაჩილავას. ანუ ფაქტია, რომ რეალური ოპოზიციური კოალიცია, არა ნაცები და ყოფილი ნაცები, არამედ რეალური კოალიცია თუ შეიქმნება, მაშინ „ქართულ ოცნებას“ არანაირი შანსი არა აქვს გამარჯვების.

– გამოდის, რომ გახარიას ხელშია გამარჯვების გასაღები?

– ფაქტია! წალენჯიხა არის კონკრეტული ციფრები, ვისაც დააინტერესებს, შევიდეს ცსკოს გვერდზე და ნახავს, ყველაფერი შავით თეთრზე წერია. სხვა ქალაქებში ეს ვერ მოხერხდა, იმიტომ, რომ როგორც ჩანს, ეს არ იყო პირადად გიორგი გახარიას გადაწყვეტილება, მაგრამ წალენჯიხაში პერსონალურმა ფაქტორებმა იმოქმედა, იქ თავად გახარიას კანდიდატს სჭირდებოდა ნაცების ხმები ქალაქის მაჟორიტარულ ოლქში და ფაქტია, რომ გახარიას და ნაცების კოალიციამ გამოიწვია „ოცნების“ შუაზე გაპობა. უშანსოდ მოუგო გახარიას კანდიდატმა, აბულაძემ, ქალაქის მაჟორიტარად ვინც იყო, „ოცნების“ კანდიდატს. მთელი 500 ხმით მოუგო. 500 ხმა მაჟორიტარულ ოლქში კი ძალიან დიდი უპირატესობაა.

– იქნება თუ არა ვადამდელი არჩევნები და რა როლი ექნება მომავალ საპარლამენტო არჩევნებში გახარიას?

– გახარიას რა როლი ექნება, რთული სათქმელია, იმიტომ, რომ ის ახლა არის ჩაყენებული ძალიან რთულ ვითარებაში. ის ვერ იღებს გადაწყვეტილებას, ცოტას პასიურობს, ვერც „ოცნებასთან“ შედის კოალიციაში და ვერც ნაციონალურ მოძრაობასთან, რამაც გააჩინა ბზარი მის პარტიაში. ძალიან ბევრ რაიონში ვხედავთ, რომ „ქართულ ოცნებას“ გამოცხადებული აქვს ნადირობა და გადაბირების კამპანია. ჩვენ უნდა გვესმოდეს, რომ გახარიას გუნდში არ არიან იდეური აქტივისტები, არც დისიდენტები. მის გუნდში არიან ყოფილი სამთავრობო გუნდის წევრები და ჩინოვნიკები. ამიტომ ამ ხალხს ძალიან გაუჭირდება ოპოზიციაში პასიურად ჯდომა, თუ გახარიამ რაღაც აქტიური მოქმედებები არ დაიწყო. ძალიან მეეჭვება, რომ ამ ფორმით, გახარიამ შეძლოს თავისი პარტიის შენარჩუნება 2024 წლამდე. ამ პოზაში ყოფნით, თვეში ორჯერ რომ რაღაც კომენტარს აკეთებს გახარია, ეს, რა თქმა უნდა, 2024 წლამდე პარტიის დაშლის ტოლფასია. გადაწყვეტილება მესმის, რომ რთული მისაღებია, მაგრამ არც პარტიის დაკონსერვება შეიძლება. პარტია არ არის შაშხი, რომ დააკონსერვო, გაზაფხულზე გახსნა და უკეთესი გემო ჰქონდეს. დაველოდოთ, საინტერესო პროცესები გველის.

ირაკლი ღარიბაშვილი ავსტრიის ფედერალურ კანცლერ ალექსანდერ შალენბერგს შეხვდა

საქართველოს პრემიერ-მინისტრი ირაკლი ღარიბაშვილი ავსტრიის ფედერალურ კანცლერ ალექსანდერ შალენბერგს შეხვდა.

მთავრობის მეთაურმა ავსტრიის კანცლერს თანამდებობაზე დანიშვნა მიულოცა და გამოთქვა რწმენა, რომ საქართველოსა და ავსტრიას შორის როგორც ორმხრივ, ისე მრავალმხრივ ფორმატებში არსებული ნაყოფიერი თანამშრომლობა კიდევ უფრო გაღრმავდება.

აღინიშნა, რომ 2022 წელი ორმხრივ ურთიერთობებში საიუბილეოა – საქართველო-ავსტრიის დიპლომატიური ურთიერთობების დამყარებიდან 30 წელი სრულდება. ირაკლი ღარიბაშვილმა ალექსანდერ შალენბერგი საქართველოში მიიწვია და განაცხადა, რომ მოხარული იქნება, მას თბილისში, ამჯერად კანცლერის რანგში უმასპინძლოს.

შეხვედრისას ხაზი გაესვა საქართველოს ევროპული ინტეგრაციის გზაზე ავსტრიის მნიშვნელოვან და უწყვეტ მხარდაჭერას.

პრემიერ-მინისტრის თქმით, საქართველო ევროპული ინტეგრაციის გზის ერთგულია და განაგრძობს ასოცირების ხელშეკრულებისა და ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის შესახებ შეთანხმების ეფექტურ განხორციელებას.

ყურადღება გამახვილდა აღმოსავლეთ პარტნიორობის მომავალი სამიტის მოლოდინებზე და ამ ფორმატში პარტნიორებისადმი დიფერენცირებული მიდგომის პრინციპის – მეტი მეტისთვის გამოყენების მნიშვნელობაზე. ასევე, ხაზი გაესვა ასოცირებული ტრიოს მეტი ჩართულობის უზრუნველყოფისა და ევროკავშირთან ინტეგრაციის დამატებითი მექანიზმების შეთავაზების აუცილებლობას.

განსაკუთრებული ყურადღება დაეთმო საქართველოს ოკუპირებულ ტერიტორიებზე არსებულ მძიმე ჰუმანიტარულ ვითარებას. საქართველოს პრემიერ-მინისტრმა ავსტრიის კანცლერს საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისა და სუვერენიტეტის მტკიცე მხარდაჭერისა და ევროკავშირის მონიტორინგის მისიაში შეტანილი მნიშვნელოვანი წვლილისთვის მადლობა გადაუხადა.

საუბარი შეეხო საქართველოსა და ავსტრიის განვითარების სააგენტოს (ადა) წარმატებულ და ეფექტურ პარტნიორობას, ასევე, სავაჭრო-ეკონომიკური კავშირების შემდგომი გაღრმავების მნიშვნელობას. ამ კონტექსტში პოზიტიურად შეფასდა ვენაში ახლახან გამართული მთავრობათაშორისი ეკონომიკური კომისიის სხდომა და მრგვალი მაგიდა, რომელშიც ორი ქვეყნის ბიზნესსექტორის წარმომადგენლები მონაწილეობდნენ.

საქართველოს პრემიერ-მინისტრისა და ავსტრიის ფედერალური კანცლერის შეხვედრა გლაზგოში, გაეროს კლიმატის ცვლილებების 26-ე კონფერენციის ფარგლებში გაიმართა.

ლევან ვარშალომიძე პარლამენტს ტოვებს

„უარს ვაცხადებ საქართველოს პარლამენტის წევრის მანდატზე, რადგან მსურს ლეგიტიმაციაგამოცლილი ხელისუფლების შეცვლისთვის გადამწყვეტი ბრძოლა დაიწყოს!“

ამის შესახებ ფრაქცია „ნაციონალური მოძრაობის“ წევრი ლევან ვარშალომიძე „ფეისბუქზე“ წერს.

ფრაქცია „ნაციონალური მოძრაობიდან“ სადეპუტატო მანდატის შეწყვეტის თაობაზე განცხადება გააკეთეს ანა წითლიძემ და ნონა მამულაშვილმა.

პარლამენტის დატოვების გადაწყვეტილება მიიღეს ასევე მამუკა ხაზარაძემ და ზურაბ ჯაფარიძემ.

პრემიერი ღარიბაშვილი იბიარდის პრეზიდენტს შეხვდა

საქართველოს პრემიერ-მინისტრი ირაკლი ღარიბაშვილი ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკის, იბიარდის, პრეზიდენტს, ოდილ რენო-ბასოს შეხვდა.

შეხვედრაზე, რომელიც გლაზგოში, გაეროს 2021 წლის კლიმატის ცვლილებების 26-ე კონფერენციის ფარგლებში გაიმართა, ხაზი გაესვა საქართველოს მთავრობასა და იბიარდს შორის არსებულ წარმატებულ თანამშრომლობას, რომლის შედეგად ქვეყანაში არაერთი მნიშვნელოვანი პროექტი განხორციელდა.

იბიარდის პრეზიდენტმა ხაზი გაუსვა საქართველოში პოლიტიკური სტაბილურობის მნიშვნელობას და აღნიშნა, რომ არჩევნების დასრულების შემდეგ, აუცილებელია კონცენტრირება განვითარების დღის წესრიგზე.

აღინიშნა, რომ იბიარდის დახმარებამ დღემდე 4 მლრდ ევრომდე შეადგინა 250-ზე მეტ პროექტში და უმნიშვნელოვანესია, რომ პორტფელის უდიდესი წილი კერძო სექტორზე მოდის, რაც მნიშვნელოვან გავლენას ახდენს ქვეყნის ეკონომიკის განვითარებაზე.

საუბრის ერთ-ერთი თემა იყო კოვიდ-19-ის პანდემიით შექმნილი გამოწვევები და იბიარდის როლი, როგორც მათზე სათანადო რეაგირების კუთხით, ისე პოსტპანდემიურ ეტაპზე ეკონომიკის აღდგენის პროცესში.

საქართველოს პრემიერ-მინისტრმა და იბიარდის პრეზიდენტმა განიხილეს სხვადასხვა სექტორში თანამშრომლობის შესაძლო კონკრეტული მიმართულებები, ასევე მცირე და საშუალო საწარმოების მხარდაჭერის მნიშვნელობა, რაც ქვეყნის ეკონომიკის მდგრადობისა და ინკლუზიურობის უზრუნველყოფისთვის გადამწყვეტია.

ოდილ რენო-ბასომ ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკის პრიორიტეტებად დაასახელა კერძო სექტორის შემდგომი განვითარების ხელშეწყობა, მეტი ინკლუზიურობის უზრუნველყოფა ეკონომიკაში, ადამიანური კაპიტალის გაძლიერება, ინფრასტრუქტურისა და ასევე სატრანსპორტო-საკომუნიკაციო საშუალებების განვითარება და აღნიშნა, რომ იბიარდი განაგრძობს საქართველოს მთავრობასთან მჭიდრო და ნაყოფიერ თანამშრომლობას.

ახალი თაობა
გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან

მთავარი რედაქტორი – სოსო გოგინაშვილი
რედაქტორი – ლალი ასლანიშვილი
ფინანსთა სამსახური – კლარა ბალავაძე
სარეკლამო სამსახური – 599-532-690
დირექტორი – ზურაბ ბერიძე
გავრცელების სამსახური – მერაბ ლეგკურაშვილი
ვებგვერდი: akhalitaoba.ge
ელ.ფოსტა: axtaoba@gmail.com
ტელეფონი: 599-532-690

რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება. რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია. სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია.

„ვინც პარლამენტიდან არ გამოვა, „ოცნებას“ არჩევნებს „გაუპრავებს“

დავით ჭიჭინაძე: „ოპოზიციის შეხვედრები ღია უნდა იყოს, ხალხმა უნდა იცოდეს, ვინ ეკურკურება „ოცნებას“

ნათია ხურცილავა

„ტრიბუნას“ თავმჯდომარე პარლამენტის ყოფილი დეპუტატი დავით ჭიჭინაძე „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში ქვეყანაში განვითარებულ მოვლენებზე საუბრობს.

– ბატონო დავით, როგორ აფასებთ შექმნილ ვითარებას? სად ხედავთ გამოსავალს?

– პირდაპირ გეტყვით, გამოსავალი ერთია: ოპოზიცია საზოგადოებისთვის უფრო გახსნილი უნდა გახდეს. ოპოზიციის ყველა შეხვედრა, კამათი, მათი მიზნები, ყველაფერი ხალხისთვის უნდა გახდეს ხელმისაწვდომი. არავითარი დახურულ კარს მიღმა მოლაპარაკებები. ადამიანებმა უნდა დაინახონ, რომ ერთ მხარეს არის მთელი ოპოზიცია და მეორე მხარეს – „ქართული ოცნება“.

ოპოზიცია რეალურად უნდა გახდეს ერთიანი. მოჩვენებითი ერთიანობა არ გამოვა. არატერესი არის მომავალ ბრძოლაში გათვალისწინებული, თუ ადამიანები ამ ბრძოლაში მათ ინტერესებს ამოიკითხავენ და არა ვიღაც პარტიების, ვიღაც დანაყოფების ინტერესებს, არავინ არ მოვა.

– პარლამენტში უნდა დარჩეს თუ არა ოპოზიცია და ახალ საკრებულოებში როგორი უნდა იყოს ოპოზიციის პოზიცია?

– ოპოზიცია თუ ბრძოლას აგრძელებს და ამბობს, რომ არჩევნები გაყალბდა, მაშინ ყველა ოპოზიციური ძალა უნდა გამოვიდეს პარლამენტიდან. რაც შეეხება ახალ საკრებულოებს, იქ შესვლაზე საუბარი არცკი უნდა იყოს. ვხედავთ, რომ ნახევარი ოპოზიცია „ოცნებასთან“ გარბის და ფარულად ლაპარაკობს. თუ ეს არ დასრულდება, არაფერი არ გამოვა. ვითარ შედეგს არ იძლევა. ადამიანებმა უნდა დაინახონ, რომ ყველა პოლიტიკური პლატფორმის, მსოფლმხედველობის, ღირებულების პარტიას, ლიდერს მხოლოდ ერთი მიზანი ამოძრავებს და ეს მიზანი არის თავად ადამიანი და ამ ქვეყნის გადარჩენა, მაშინ ყველაფერი გამოგვივა. წინააღმდეგ შემთხვევაში არაფერი გამოვა.

2012 წელსაც იყო „ნაციონალური მოძრაობის“ მხრიდან გაყალბებაც, ძალადობაც, დაშინებაც, კოორდინატორებიც, მაგრამ იმდენად დიდი იყო უპირატესობა, ადამიანებში გამარჯვების სურვილი, რომ არაფერი გამოუვიდათ. მახსოვს მაშინ, ისეთი ადამიანები მივიდნენ არჩევნებზე, რომლებიც არასდროს არ ყოფილან. მათ ცვლილებების იწამეს.

– დღეს რა ხდება?

– დღეს ეს არ ჩანს. ადამიანებს ეს რწმენა არ აქვთ. მუხტი არ იგრძნობა. ხალხმა უნდა დაინახოს, რომ მართლა იცვლება ყველაფერი. უნდა დაინახონ, რომ თავად პარტიებიც იცვლებიან, მიუხედავად მათი ლიბერალურობისა. თუ ხალხი დაინახავს, რომ ყველა ამომრჩევლის ინტერესებს ითვალისწინებენ, ხალხი ოპოზიციას, უბრალოდ, არ დაუჯერებს. ყველაფერი უნდა იყოს გამჭვირვალე. ვინც წავა და ფარულად დაიწყებს მოლაპარაკებას „ოცნებასთან“, ეს არ უნდა დაიმალოს, პირდაპირ უნდა გამოჩნდეს.

„ქართულ ოცნებას“ პარლამენტშიც ჰყავს უმრავლესობა და საკრებულოებშიც. რა უნდა გააკეთოს ოპოზიციამ, უბრალოდ, გაუგებარია. პარლამენტშიც, საკრებულოებშიც ოპოზიცია ხელისუფლებას დაეხმარება დემოკრატი მმართველის იმიჯის მორგებაში და გაყალბებულ არჩევნებს „გაუპრავებს.“ თუ პარლამენტში დარჩებიან და საკრებულოებში შევლენ, მაშინ არ უნდა თქვან, რომ არჩევნები გაყალბდა. ორიდან ერთი გზა უნდა აირჩიონ.

თავის დროზე პარლამენტში ოპოზიციის შესვლა და მიშელის დოკუმენტზე ხელის მოწერა დიდი შეცდომა იყო. ახლა, პარლამენტიდან რომ გამოდიან, ნაწილი არ მოყვებათ. როგორც ჩანს, ბევრს მოეწონა და აღარ უნდა გამოსვლა. ეს არის სამარცხვინო საქციელი. მე ვამბობ, ვისაც არ უნდა პარლამენტის დატოვება, ღიად უნდა ვთქვათ ამის შესახებ და ყველაფერს და ყველას თავისი სახელი დაერქვას. ახლა მორიდებისა და რევერანსების დრო აღარ არის. ახლა ოპოზიცია მართლა უნდა დადგეს ხალხის მხარეს, ხალხის ინტერესების სადარაჯოზე და არა ვინმეს რამე არ ეწყინოს.

– რას გულისხმობთ?

– არ გამოვრიცხავ, ვიღაც ფიქრობდეს, არ ვაწყენინო ამა თუ იმ დეპუტატ თანაგუნდელს. რად უღირთ ისეთი თანაპარტიელი, რომელიც ხალხის მოთხოვნას უგულებელყოფს და იგნორირებას უკეთებს?! ეს არჩევანი ძალიან ღიად უნდა გააკეთონ. ვინც ამ ნაბიჯს არ გადადგამს, მას არც ბრძოლა უნდა და არც ამ ქვეყნის მომავალი აინტერესებს. ის, უბრალოდ, ხელს უწყობს „ქართულ ოცნებას“ ამ ქვეყნის ძარცვაში.

– საპარლამენტო არჩევნების შემდეგ როგორც განვითარდა მოვლენები, ზუსტად ასე ხომ არ განვითარდება ახლაც? ხომ არ ფიქრობთ, რომ ეს განწირული ბრძოლაა?

– არავითარ შემთხვევაში. თუ ყველაფერი გამჭვირვალე იქნება და ხალხი ირწმუნებს ჩვენსას, ყველაფერი გამოვა. ბატონი შალვას ოფისში გამართული ოპოზიციის შეხვედრები ტრანსლირებული რომ ყოფილიყო, ხალხი პირდაპირ საკუთარი ყურითა და თვალით ნახავდა, რაც ხდებოდა იმ შეხვედრებზე და ვინ იყო გამყიდველი. ყველა ნახავდა, ვინ იცავდა ხალხის ინტერესებსა და ვინ არ იცავდა. ვის რა მიზანი ჰქონდა, ეს ყველაფერი ჩანდა იმ შეხვედრებზე. ამ მოლაპარაკებებზე ხალხი გამყიდველებს დაინახავდა. დაინახავდა იმ ხალხს, ვისაც „ოცნებასთან“ კურკური ჰქონდა დაწყებული. ამიტომ ვამბობ, რომ ოპოზიციის ყველა შეკრება ღია უნდა იყოს. ამ პროცესში ხალხმა ჩართულობა უნდა იგრძნოს. თუ ამას მივაღწიეთ, მაშინ ყველაფერი გამოვა.

„მე არასოდეს ვმდგარვარ აქციაზე, სადაც ყვიროდნენ, რომ არჩევნები გაყალბდა“

ვახტანგ მეგრელიშვილი: „ჩვენ წავაგეთ არჩევნები და გვჭირდება ცვლილებები პარტიაში, ამას ან გამოვასწორებთ, ან დავიქცევით“

იაგო ნაცვლიშვილი

გაყალბდა თუ არა არჩევნები, როგორ ხედავს კრიზისიდან გამოსავალს და ეთანხმება თუ არა თანაპარტიელ იაგო ხვიჩიას, რომ მიხეილ სააკაშვილი საზღვარგარეთ უნდა გაუშვან სამკურნალოდ? — ამ და სხვა საკითხებზე „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში „გირჩის“ ერთ-ერთი ლიდერი ვახტანგ მეგრელიშვილი საუბრობს.

– თქვენი შეფასებით, გაყალბდა არჩევნები? იყო ისეთი დარღვევები, რამაც გავლენა იქონია შედეგებზე?

– ჯერჯერობით არ ჩანს ტექნიკურად არაფერი. ცესკოში გვყავს ჩვენი წარმომადგენელი და გვაქვს ჩვენი ინფორმაცია. ანუ, ახლა არ ყოფილა ისეთი განსხვავებული, რაც არ ყოფილა წინა წლებში არჩევნებზე. არა მგონია, რომ ამ თვალსაზრისით რაიმე მნიშვნელოვანი იყო. ყოველ შემთხვევაში, იგივე თქვა „ოდირმა“ და მე არ მაქვს რაიმე ფაქტობრივი საფუძველი, რომ სხვა რამის მჯეროდეს.

– მეთოდები იგივე დარჩა?

– ტექნიკურად ხომ ვართ რაღაც თამაშის წესებზე შეთანხმებული, რომ ასე ვთამაშობთ – ოპოზიციაც, ხელისუფლებაც და საზოგადოებაც?! იდეალური არჩევნები ხომ არასოდეს ჩაგვიტარებია ამ ქვეყანაში და ზოგადად არსად არავის ჩაუტარებია. იყო ეს არჩევნები იმაზე ბევრად უარესი, რაც ყოფილა აქამდე?!

– ახსენეთ შეთანხმებულები ვართ თამაშის წესებზეო და შეთანხმებულები ვართ თუ შეგვათანხმეს?

– როდესაც საზოგადოება ასეთია, როდესაც არ აქვს ინსტიტუტები, რომელიც არ ემორჩილება ფორმალურ წესებს და არაფორმალური წესებით ცხოვრობს... უცხო პლანეტელები ხომ არ ვართ, ამ საზოგადოებაში ვცხოვრობთ და ახლა ეს არჩევნები იმის გამო, რომ სულ რამდენიმე თვის წინ ახალი საარჩევნო კოდექსი მივიღეთ, იმის გამო, რომ ბევრად მეტი ადამიანი იყო ჩართული, ბევრად უფრო გამჭვირვალე იყო და ა. შ. ჩემი აზრით, ტექნიკურად ბევრად უკეთესი არჩევნები იყო, ვიდრე სხვა დროს ჩატარებული არჩევნები, მაგრამ არჩევნები ხომ მარტო არჩევნების დღე არ არის?! წინასაარჩევნო კამპანიაა, მხარეების თამაშის წესები და ა. შ. რომელიც იყო ძველი და, შესაბამისად, ხომ ვერ შევაფასებთ, რომ კარგი არჩევნები იყო. კარგი არ ყოფილა, მაგრამ უკეთესი იყო, ვიდრე წინა არჩევნები.

– 2020-ის არჩევნებზე უკეთესი იყო?

– რა თქმა უნდა. ჯერ ერთი, იმ არჩევნებზე უკეთესი იმიტომ იყო, რომ როდესაც ხელისუფლებასა და ოპოზიციას შორის იყო აზრთა სხვადასხვაობა გაყალბდა თუ არა არჩევნები, ამაზე „გირჩი“ ფიზიკურად არ ვფლობდით არანაირ ინფორმაციას. ვიღაცას უნდა ვნდობოდით და დღეს ჩვენ წარმომადგენელიც გვყავდა ცესკოში, დამკვირვებლები გვყავდა, ყველაფერი იტვირთებოდა ვებ-გვერდზე, გადათვლა შეიძლებოდა... იმდენი ახალი ინსტრუმენტი დაემატა, რომ, უბრალოდ, ან ბრმა უნდა იყო, ან ამის დანახვის სურვილი არ უნდა გქონდეს, რომ დღეს შეგიძლია ბევრად მეტი ინფორმაცია მიიღო საქართველოს მოქალაქემ, ვიდრე ოდესმე შეგეძლო მისი მიღება ამ ქვეყანაში ჩატარებული არჩევნების შესახებ.

– ენდეთ სხვებს წინა არჩევნებზე და იმიტომ იდექით იმ აქციაზე, სადაც ამბობდნენ, რომ არჩევნები გაყალბდა?

– მე არასოდეს არ ვმდგარვარ არანაირ აქციებზე, სადაც ყვიროდნენ, რომ არჩევნები გაყალბდა. თუ გახსოვთ, მე ვამბობდი ერთი პერიოდი, რომ თუ არჩევნები გაყალბდა, მჭირდება მტკიცებულება-მეთქი და ველოდებოდით მას. ველოდებოდით ამ მტკიცებულებების დადებას ოპოზიციიდან, მერე ამაზე გააკეთებდა „ოდირი“ დასკვნას.

– პერსონალურად თქვენ არ გიგულისხმეთ, პარტიის პოზიციას ვგულისხმობდი.

– თუ აკვირდებოდით, უნდა იცოდეთ, რომ მთელი წინა წელი „გირჩს“ ჰქონდა განსხვავებული, ვიდრე ოპოზიციური პარტიების უმრავლესობას.

– კი, გქონდათ ოდნავ განსხვავებული პოზიცია, მაგრამ პარლამენტში მაინც არ შედიოდით.

– ჩვენ პარლამენტში შევედით კიდეც, იმ ფორმით, როგორც ეს ჩვენ მიგვაჩნდა სწორად. ჩვენ ვიყავით პარლამენტში შესულები, ვიდრე იქ ოპოზიცია მოვიდოდა.

– კი, დაახლოებით 1 კვირით ადრე შეხვედით, ვიდრე სხვა პარტიები შეთანხმებას მოაწერდნენ ხელს.

– კი, ბატონო. რა მნიშვნელობა აქვს, 1 კვირით ადრე შევედით თუ რამდენი ხნით ადრე?! მაგრამ ჩვენ გვქონდა განსხვავებული პოზიცია იმ პროცესის მიმართ, რაშიც იყო ოპოზიცია და პოზიცია. შარლ მიშელის შეთანხმების დეტალები თუ გახსოვთ, გემახსოვრებათ, რომ ჩვენი პოზიცია იყო, მართლა მომხდარიყო შეთანხმება იმ 45%-იან ბარიერზე, რომლის შეთანხმების მერეც დაიშალა ეს ყველაფერი. ეს პოზიცია ერთადერთ პარტიას ჰქონდა – „გირჩს“ და რომ მირეკავთ, ხომ უნდა იცოდეთ ეს ამბავი?!

– არ მეგონა, ჩემი კითხვები თუ ასე გაგაბრაზებდათ.

– რას ბრძანებთ, არ გავბრაზებულვარ.

– მაგრამ მე გეკითხებოდით იმას, რომ თავიდან პარტია იყო ერთიანი, სანამ გაიყოფოდით და იდგა ოპოზიციის აქციაზე.

– მთელი პრობლემები იყო, მაგრამ მთავარი საკითხი ხომ ის იყო, რომ ჩვენ გვქონდა განსხვავებული პოზიცია. ჩვენ მიტინგებზე არ დავრბოდით ოპოზიციასთან ერთად და არ ვითხოვდით გაყალბებული არჩევნების გაუქმებას.

– როდესაც ერთიანი იყავით, პარტიის ლიდერი იყო ზურაბ ჯაფარიძე და ის ამბობდა, რომ არჩევნები გაყალბდა, ესეც გემახსოვრებათ.

– მაშინ დამიზუსტეთ, როდის გულისხმობთ და სად გულისხმობთ? სანამ ზურაბ ჯაფარიძე „გირჩში“ იყო, ზუსტად იგივე პოზიცია ჰქონდა, რაც მე. დღემდე მე იგივე პოზიცია მაქვს, ზურა ჯაფარიძემ რაღაც მომენტში შეცვალა პოზიცია. თორემ, სანამ „გირჩში“ იყო, ზუსტად იგივეს იძახდა, მაჩვენეთ გაყალბების მტკიცებულებებიო. შემიძლია ვიდეოც გამოგიგზავნოთ.

– დღევანდელ ვითარებაში რაში ხედავთ გამოსავალს, როდესაც ისევ კრიზისში შევდივართ და ოპოზიცია ქუჩაში გადის?

– ახალი ამაში ხომ არაფერია?!

– კი, მაგრამ ოდესმე ხომ უნდა გამოვიდეთ ამ წრიდან?

– ჩვენ ამ არჩევნებზე საკმაოდ ცუდი შედეგი ვაჩვენეთ. ჩვენ წავაგეთ არჩევნები, აქედან გამომდინარე ჩვენი პარტიის როლი, რომ სიტუაცია შეიცვალოს, არის ძალიან მცირე. ჩვენი აზრით, მთავარი პრობლემა იყო ის, რომ ჩვენ ვერ ვღებულობდით მონაწილეობას იმ პოლიტიკურ პროცესში, სადაც „ოცნება“ და „ნაცმოძრაობა“ ფაქტობრივად სამკვდრო-სასიცოცხლოდ ებრძოდა ერთმანეთს. ჩვენ ამ ხალხთან საბრძოლო არაფერი გვაქვს, ჩვენ გვაინტერესებს რაღაც თემები, რაზეც ვლაპარაკობთ „ნაცმოძრაობასთანაც“, „ოცნებასთანაც“ და ნებისმიერ სხვასთანაც. ამ ხალხს კი ერთმანეთთან ლაპარაკიც კი მიაჩნიათ სამშობლოს ღალატად, არაპატრიოტულ საქციელად და ა. შ. ჩემი აზრით, ეს ხალხი არაადეკვატურია ერთმანეთთან მიმართებაში. აქედან გამომდინარე, აზრზე არ ვარ, როგორ შეიძლება ამ ორმა დაპირისპირებულმა მხარემ ერთმანეთთან მტრობა დაასრულოს. მაგრამ ჩვენ ამ თამაშში მუდმივად ყოფნას არ ვაპირებთ.

ამ არჩევნების შემდეგ დავკონცენტრირდებით მხოლოდ იმ საკითხებზე, რომელიც ჩვენ გვაინტერესებს და ამ საკითხებზე ყველასთან ვითანამშრომლებთ. განსაკუთრებით ხელისუფლებასთან და ოპოზიციასთანაც თუ მას მიტინგების გარდა ექნება სურვილი, რომ რაიმე საკითხით დაინტერესდეს.

ამ პოზიციაზე ვყალიბდებით, რადგან, როგორც გითხარით, არჩევნები წავაგეთ და რადგანაც ის წავაგეთ, პარტიაში გვექნება სერიოზული ცვლილებები, ახლებურად უნდა შევხედოთ მომავალს. ეს არჩევნები ჩვენთვისაც მნიშვნელოვანი იყო და ის შედეგი, რომელიც დავდეთ, არ არის სახარბიელო, ამას ან გამოვასწორებთ, ან დავიქცევით. შესაბამისად, მაქსიმალურად ვეცდებით, რომ საკუთარი პრობლემების გადაწყვეტაზე ვიყოთ კონცენტრირებულები.

– თქვენმა თანაპარტიელმა იაგო ხვიჩიამ თქვა, რომ საკაშვილის პატიმრობამ ამოწურა თავის თავი, დამთავრდა არჩევნებიო და მოუწოდა „ოცნებას“, საზღვარგარეთის კლინიკაში გაგზავნეთ სამკურნალოდო. იზიარებთ ხვიჩიას პოზიციას?

– როგორ შეიძლება არ ვიზიარებდე, კაცი თუ კვდება, უნდა გაუშვა საზღვარგარეთ. არჩევნები დამთავრდა და ახლა ეს თემა არის დესტაბილიზაციის წყარო. საუკეთესო შემთხვევაში საზღვარგარეთ უნდა გაგზავნონ. ეს ვერსია, რაც იაგო ხვიჩიამ შესთავაზა საზოგადოებას, ყველასთვის მომგებიანი უნდა იყოს – როგორც „ქართული ოცნებისთვის“, ისე მიხეილ სააკაშვილისთვის. რას უნდა ვიზიარებდე ან არ ვიზიარებდე?!

– მაინტერესებდა, ერთიანი პოზიცია იყო პარტიის თუ იაგო ხვიჩიას მოსაზრება.

– მე თქვენგან გავიგე იაგო ხვიჩიას პოზიცია, მაგრამ რომ დავფიქრდი, ზუსტად იგივე აზრზე ვარ, ყველას აწყობს მოვლენების ასე განვითარება.

– თუ აწყობს „ოცნებას“, სააკაშვილის მდგომარეობით რატომ ვაჭრობს?

– მე წარმოდგენა არ მაქვს შიდა სამზარეულოსი. არ ვიცი, რას ვაჭრობს ხელისუფლება, რას ფიქრობს და რას აპირებს. არ ვიცი, რას ფიქრობს „ქართული ოცნება“ და არ ვარ კომპეტენტური ამ საკითხში.

„სააკაშვილის ციხეში ყოფნა „ოცნებისთვის“ დენთის კასრია“

შოთა მალაშხია: „ხელისუფლების ბოლო მანიპულაცია ჩაატარა ცესკომ ბიულეტენების გაბათილებით“

მარიამ მჭედლიშვილი

30 ოქტომბერს გამართული მუნიციპალური არჩევნების მეორე ტურის მიმდინარეობა და შედეგი მკაცრად გააკრიტიკეს დამკვირვებლებმა. მოიტანს თუ არა რაიმეს უბნების ნაწილის გადათვლა? როგორ ჩატარდა არჩევნები? რა რისკების წინაშე დგას „ოცნების“ ხელისუფლება? რა ფუნქციას ასრულებს წალენჯიხა? – ამ და სხვა საკითხებზე „ახალი თაობა“ ესაუბრა ქრისტიან-კონსერვატიული პარტიის თავმჯდომარეს, ყოფილ დეპუტატს, **შოთა მალაშხიას**.

– როგორც აფასებთ ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნების მეორე ტურის შედეგს? საერთაშორისო დამკვირვებლების შეფასებები საკმაოდ კრიტიკულია.

– ეს არჩევნები სინამდვილეში მოიგო ოპოზიციამ. ოპოზიციამ გაიმარჯვა უთანასწორო პირობებში, იმ გაყალბებებითა და ინსტრუმენტებითაც კი, რომელსაც იყენებდა ხელისუფლება. ხელისუფლების ბოლო მანიპულაცია ჩაატარა ცესკომ ბიულეტენის გაბათილებით. ოფიციალური გადაკეთებული მონაცემებითაც დიდი მიღწევები აქვს ოპოზიციას. უმეტეს შემთხვევაში სხვაობა პროცენტ-პროცენტნახევარია. ქუთაისში სხვაობა „ქართული ოცნებისა“ და ნაცმოძრაობის კანდიდატებს შორის არის დაახლოებით 2 200. ამ დროს გაბათილებული ბიულეტენების რიცხვი 2 500-ზე მეტს შეადგენს. ჩხოროწყუში სხვაობა 400-ია, გაბათილებული ბიულეტენები – 600. ასეა თითქმის ყველგან. სხვა მანიპულაციებიც ბევრი იყო. მინდა გამოვყო გადასატანი ყუთით ხმის მიცემა. გადასატანი ყუთი მიაქვთ იმ ადამიანებთან, რომლებსაც უბანზე მისვლის საშუალებას არ აძლევთ ჯანმრთელობის მდგომარეობა. ასეთი პირების უმრავლესობა კოვიდინფიცირებული იყო. რატომღაც მათმა 80%-მა ხმა მისცა „ქართულ ოცნებას“. გამოდის, რომ კორონა-19 მარტო „ქოცების“ ამომრჩეველს ემართება. გაბათილებული ბიულეტენებისა და გადასატანი ყუთის მაქინაციების გარდა, აშკარა იყო დისბალანსი მთელ რიგ უბნებზე. ამას დაუმატეთ ადმინისტრაციული რესურსი, მოსყიდვა, ძალადობა, დაშინება და კრიმინალური „ნასედკები“, რომლებსაც „ძველ ბიჭებად“ მოიხსენიებენ. „ქართული ოცნება“ ამ ყველაფერს თავის სასარგებლოდ იყენებდა.

– წალენჯიხაში გაყალბებამ ვერ გაჭრა? იქ მმართველმა პარტიამ ვერც მერი გაიყვანა და ვერ საკრებულოში მიიღო უმრავლესობა.

– წალენჯიხა განსაკუთრებული მუნიციპალიტეტია. ისტორიულად საქართველოს ესა თუ ის კუთხე სხვადასხვა დროს ასრულებდა გადამწყვეტ როლს ქვეყნის განვითარებაში. ხან ეს იყო კახეთი, ზოგჯერ ქართლი, ზოგჯერ სამცხე, ხან – სამეგრელო. ახლა სამეგრელოს აქვს განსაკუთრებული მისია. წალენჯიხა იქცა მოტივატორად. ეს რაიონი სხვებზე მეტად ააწიოკა „მხედრიონმა“, რომელიც თავის დროზე წალენჯიხის სკოლა-ინტერნატში იყო დაბანაკებული. აკლების შემდეგ შევარდნაძე იყო ჩასული წალენჯიხაში. მას კუდით ქვა ასროლინეს და ისე გააძევეს. 2003 წლის „ვარდების რევოლუციის“ წინ პირველი ავტობუსი წალენჯიხიდან წამოვიდა. პირადად მე წალენჯიხასთან სენტიმენტები მაკავშირებს. ბაბუაჩემი იყო იქიდან. მას ბოლშევიკებმა მიწები და ქონება წაართვეს, ანუ განაკულაკეს. ბაბუჩემი კომუნისტებს მთელი ცხოვრება ვერ იტანდა. წართმეულ ქონებაზე უფრო მეტად ის ადარდებდა, რომ მის ყოფილ მიწებს ვერ უვლიდნენ. მე მიწების ნაწილი გამოვისყიდე. ახლა იქ ნაკვეთი გვაქვს. წალენჯიხაში, ამ არჩევნებზე, ოპოზიცია ბევრად უსწრებდა „ოცნებას“. გარდა ამისა, მერობის სხვა კანდიდატები საღად შეხვდნენ თავიანთ დამარცხებას. მათ თქვეს, რომ ყველანი წალენჯიხელები არიან და მტრობას არ აპირებენ. იქ მაჟორიტარული არჩევნებიც ოპოზიციამ მოიგო.

– უბნების ნაწილის გადათვლის შედეგად არაფერი შეიცვლება?

– არა მგონია, დიდად რამე შეიცვალოს. ხალხმა დაამტკიცა, რომ ეს ხელისუფლება არ უნდა. მომავალში ხალხის განწყობა კიდევ უფრო დამძიმდება და გახდება უფრო ნეგატიური „ქართული ოცნების“ მიმართ. ყველაფერი ხელისუფლებას ბუმერანგად დაუბრუნდება. არ ვიცი, როდის მოხდება ეს – 2022-2023 თუ 2024 წლებში. ადრე თუ გვიან, ხალხი დაამარცხებს „რუსულ“ ოცნებას“ და დაიწყება აღმავლობა. „წითელი ინტელიგენცია“ მისტირის საბჭოთა რუსეთს და თბილისი-მოსკოვის 37-მანეთიან ბილეთებს. მინდა მათ გასაგონად ვთქვა – რუსეთი მათ ვერ უშველით. რუსეთს თვითონ დედა აქვს ნატირები.

– „წითელი“ ზომიერი ინტელიგენციის გარდა, საქართველოში არსებობენ და ძალიან აქტიურობენ რადიკალური პრორუსული ჯგუფები.

– ეგენი მოსკოვიდან იღებენ დაფინანსებას. ყვირიან იმ საკითხებზე, რასაც ავალებენ. მოსახლეობის უდიდესი უმრავლესობა არ არის პრორუსული. სიტუაცია შეიცვლება, ამ რუსულ ჯგუფებს გადაეკეტებათ რუსული ფული და გაჩერდებიან. „რუსული ოცნებაც“ აღარ უნდა მოსახლეობას. ისინიც კი, ვისაც ძალით შემოახაზინეს 41 და ფოტო გადააღებინეს, პროტესტს გამოთქვამენ. ასეთმა ხალხმა ფოტოს გადაღების შემდეგ ოპოზიციის ნომერი შემოხაზა. ასეთი ბიულეტენი ბათილებში ჩაითვალა, მაგრამ პოზიცია გამოჩნდა.

– რამდენიმე საკრებულოში მმართველი პარტია ვერ აყალიბებს უმრავლესობას. კოალიციებიც ვერ შედგება?

– ოპოზიციასაც შეუძლია გაერთიანდეს და შექმნას უმრავლესობა. ის, ვინც „ქართულ ოცნებასთან“ შევა კოალიციაში, ოპოზიციონერის სახელს დაემშვიდობება და პოლიტიკურად განადგურდება. ხელისუფლება მძიმე მდგომარეობაშია. მას სხვა რამესთან ერთად დიდ პრობლემას უქმნის სააკაშვილის ციხეში ყოფნა.

– ხელისუფლება ამას არ იმჩნევს.

– ხელისუფლებისთვის ეს არის დენთის კასრი. სააკაშვილმა უკვე დაატრიალა ქარიშხალი თავისი ჩამოსვლით. ხელისუფლებას იმისიც კი ეშინია, რომ ის სამოქალაქო საავადმყოფოში გადაიყვანოს. ამის გარდა, გასამართია სასამართლო პროცესები. წარმოიდგინეთ, რა ამბავი, რა გამოსვლები მოჰყვება მის ყოველ გადაადგილებას. ვინ უშველის ხელისუფლებას ასეთ დროს?! გაყალბებით სკამებზე დასმული მერები თუ ირაკლი კობახიძე? ადრე თუ გვიან, ცვლილებები მოხდება. ქვეყანა გადარჩება. საქართველოს იმპერიებმა ვერაფერი უქნეს. რუსეთის იმპერიამაც ვერ გააქრო საქართველო და ამას მომავალშიც ვერ მოახერხებს რუსეთის ფედერაცია.

დიმიტრი ლორთქიფანიძე: „სააკაშვილი ამერიკელებმა შემოიყვანეს“

გულიკო ბალაძე

„ახალი თაობის“ კითხვებს პარლამენტის ყოფილი წევრი **დიმიტრი ლორთქიფანიძე** პასუხობს.

– ბატონო დიმიტრი, წინასაარჩევნო პერიოდი, განსაკუთრებით მეორე ტურში ძალიან დაძაბული იყო. თქვენ წერთ, 11 ხმა მხოლოდ თქვენი ოჯახიდან და კიდევ უამრავი თქვენი მეგობრის ხმა ტროცკისტების წინააღმდეგ წავიდაო. ეს რას ნიშნავს?

– სააკაშვილის ხროვა ტროცკის სრული რეინკარნაციაა. ტროცკი ნეოლიბერალური იდეებით გახლდათ გამორჩეული და, ზნეობრივი პლაზმის შეცვლის მიზნით, ამას საკანონმდებლო დონეზე განიხილავდა მუდმივად, კაგანოვიჩთან, კალინინთან ერთად. ძალიან ბევრი რევკომი იყო ამ ტროცკისტული იდეების განხორციელებაში ჩაბმული. რომ არა თავის დროზე სტალინისა და ბერიას გალაშქრება მათ წინააღმდეგ, ალბათ, ძალიან მძიმე მდგომარეობაში აღმოვჩნდებოდით 1921 წელს, დაკარგული დამოუკიდებლობის შემდგომ.

– სტალინზე უარეს დღეში ჩაგვაგდებდა ტროცკის იდეების განხორციელება?

– ტროცკი გეგმავდა მართლმადიდებლობის ამოშანთვას საბჭოთა სივრცეში. სწორედ მის დროს დაიწყო განსაკუთრებული რეპრესიები სამღვდელოების, ეკლესიის წინააღმდეგ. 77 ათასი სამღვდელო პირი განადგურდა.

ჩვენს შემთხვევაში, 2003 წელს ვარდების რევოლუციით მოსული ხელისუფლება მოვიდა ერთადერთი მიზნით: მოეხდინა ქვეყნის სინგაპურიზაცია.

ანუ ცდილობდა გლობალიზაციის მორევში ჩავეთრიეთ, რომ ეროვნული სახელმწიფოდან მიეღო ქვეყანა, სადაც ქართველების რაოდენობა 15-20% იქნებოდა. დანარჩენები, მიგრაციის მაღალი ხარისხის გათვალისწინებით, შემოსული ინვესტორები, მათთან დაკავშირებული კომპანიონები და ოჯახის წევრები იქნებოდნენ, რომლებიც ჭრელ ეთნიკურ ბალანსს შექმნიდნენ.

სააკაშვილის მიერ განხორციელებული რეპრესიების შედეგად, 100 ათას სულ მოსახლეზე პატიმართა რაოდენობით მსოფლიოში მეორე, ხოლო ევროპაში პირველ ადგილზე გავედით. არაფერს ვამბობ წამებაზე, არაადამიანურ მოპყრობაზე, ბიზნესის წართმევაზე, შეთანხმებულ ინსტიტუციურ დევნაზე სანდრო გირგვლიანის ოჯახის წინააღმდეგ, რაც აღინიშნა სტრასბურის სასამართლოს გადაწყვეტილებაში.

როდესაც ვხედავ, რომ რიგში დგას სერიოზული სისხლის სამართლის საქმეები, პასიურად სახლში ჯდომა იმის ფიქრით, წავიდნენ ერთი, თავში ქვა უხლიათო, არ არის პოლიტიკური აზროვნების ნაყოფი. ასე შეიძლება იფიქროს ადამიანმა, რომელიც პოლიტიკაში ვერ ერკვევა.

– ზოგი წერს, ძირს ნაცი, ძირს ქოციო. არც ერთი არ გვინდაო.

– ეს განწყობა ობიექტურია ძალიან ბევრ ადამიანში, მაგრამ საზოგადოება ერთ რამეს ვერ აფასებს – კოაბიტაციაში შესული „ქართული ოცნებისა“ და ნაცმოძრაობის ერთ სისტემაში აღთქმა და ლაპარაკი იმაზე, რომ საქართველოს პოლიტიკა მათ გარეშე იყოს, არასწორია. აბა, ვინ უნდა ჩაანაცვლოს მონსტრები, მილიარდიანი პარტიები, რომლებსაც უზარმაზარი რესურსი გააჩნიათ?

ხომ უნდა იხმაროო ტაქტიკა და ერთი გზას ჩამოაშოროო, რომ მეორეს, გაცილებით უფრო მარტივი პროცედურებით, დაპირებების შეუსრულებლობაზე პასუხი მოსთხოვო. ამიტომ „ქართულ ოცნებასა“ და ნაცმოძრაობას შორის ტოლობის ნიშანი აღარ ისმება. კახი კალაძის გამარჯვება არის შანსი იმისა, დაწყებული სისხლის სამართლის სამართალწარმოება გაგრძელდეს.

დღეს ჩემ მიერ მხარდაჭერილი კახა კალაძე ნიშნავს სისხლის სამართლის საქმეების გზით და სამართლებრივი გზით ნაცმოძრაობის სრულ განულებასა და სრულ მარგინალიზებას.

მიხეილ სააკაშვილი ციხეში შემთხვევით გაბმული ჩიტია. ის იმიტომ არ ჩამოსულა საქართველოში, რომ ციხეში ჩამჯდარიყო. მიშა სინამდვილეში არც მაცივრით არ შემოუყვანიათ.

– აბა, რით არის შემოყვანილი?

– ნიკოლაევის დახურული პორტიდან არის შემოყვანილი გარკვეული სატრანსპორტო საშუალებით, რომელზეც კონტროლი ნატოს გააჩნია. არავინ აკადრებდა მიხეილ სააკაშვილს ოთხი დღე და ღამე კონტეინერში ჯდომას.

– გამორიცხავთ, რომ სააკაშვილი საქართველოში რუსეთმა შემოიყვანა?

– რუსეთს არ შემოუყვანია. სააკაშვილი შემოიყვანეს ამერიკელებმა, გლობალისტებმა დასავლეთიდან, რომლებმაც ძალიან კარგად დაინახეს, რომ „ქართული ოცნების“ წინააღმდეგ დასაწყებია განსაკუთრებული სანქციების განხორციელება, ვინაიდან შარლ მიშელის დოკუმენტიდან გამოსვლით, მართლმსაჯულების სისტემის კონტროლზე უარის თქმით, „ოცნებამ“ მათ წითელი ხაზები გადაუკვეთა. როგორც ჩანს, მათ ჩათვალეს, რომ „ოცნება“ საერთოდ, გემის საჭეს ატრიალებს და სხვა მიმართულებით მიჰყავს ქვეყანა.

– რატომ ფიქრობთ, რომ კალაძისა და „ოცნების“ გამარჯვებით ნაცების პოლიტიკური დასამარება დაიწყება?

– დაიწყება, ვინაიდან მათ შორის კოაბიტაციის ყველანაირი შესაძლებლობა გამორიცხულია. ეს არჩევნები იყო ბოლო წერტილი. ნაცმოძრაობამ წააგო რეფერენდუმად შერაცხული არჩევნების როგორც პირველი, ასევე მეორე ტური. თუ ასეთი ძლიერები და მაგრები არიან, გვანახონ, თბილისში ჩამოყვანილი, ფულგადახდილი მოქალაქეების გარდა, თუ ჰყავთ ისეთი აქტივი, რომელიც შეძლებს, რაიმე ცვლილება გამოიწვიოს და ხელისუფლებას ვადამდეღი არჩევნების ჩატარება აიძულოს. მე ეჭვი მეპარება. სააკაშვილი არის სრული ფარჩაკი. მის უკან არსებული გუნდი – კიდევ უფრო დიდი ფარჩაკი.

დასავლეთს კოვზი ნაცაში ჩაუვარდა. დასავლეთს თავიდან სულაც არ სჭირდებოდა სააკაშვილის ჩამოყვანა, რადგან 2019 წელს გამოიკვეთა მათთვის ძალიან საინტერესო ლიდერი მელიას სახით, რომელიც ციხეშიც ჩაჯდა, ნელსონ მანდელას პლედიც მოასხეს. ლეგიტიმაციაც გაიარა, თითქოს ქარიზმაც არ აკლია, თითქოს პოლიტიკური წარსულიც შესაბამისობაშია შემდგომი კარიერული ზრდისთვის, მაგრამ რეალურად მელიამ დასავლეთს და ქართულ საზოგადოებას დაანახა, რომ ის აბსოლუტურად უმწიფარი პოლიტიკოსია.

მერე დასავლელებმა ახლოს გაიცნეს ხაზარაძე, ჯაფარიძე. შემდეგ ზურაბ ჯაფარიძეზეც იყო ლაპარაკი, რომელმაც ბოლო დროს უროები იქნია და მანქანები ამტვრია იმის მაგივრად, რომ კრეატიული ლიდერის ფუნქცია ეკისრა და დასავლეთს მასზე ფსონი დაედო.

– გამორიცხავთ, რომ რუსეთმა სააკაშვილი საქართველოში სიტუაციის ასარევად ჩამოიყვანა?

– რამდენიმე პოლიტიკოსმა გააჟღერა ეგ ვერსია, რომ სააკაშვილი რუსეთის მიერაა შემოგდებული. ხე ნაყოფით იცნობა. მთავარია, ვინ იყენებს სააკაშვილს და ნაცმოძრაობის გამონადენებს. სხვადასხვა პარტიები შექმნეს სახელდახელოდ იმისთვის, რომ 15 პარტიის ლიდერმა ჩაიბაროს 14 პორტფელი მთავრობაში კოალიციური რეჟიმის გათვალისწინებით.

ირაკლი ღარიბაშვილი სლოვენიის რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრ იანეზ იანშას შეხვდა

საქართველოს პრემიერ-მინისტრი ირაკლი ღარიბაშვილი, გაეროს 2021 წლის კლიმატის ცვლილებების 26-ე კონფერენციის ფარგლებში, სლოვენიის რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრს, იანეზ იანშას შეხვდა.

საუბარი შეეხო საქართველოსა და სლოვენიის მეგობრულ ურთიერთობებს, რომლებიც დემოკრატიის, თავისუფლების, საერთაშორისო სამართლის ფუნდამენტური პრინციპების პატივისცემას და საერთო ევროპულ ღირებულებებს ეფუძნება.

ირაკლი ღარიბაშვილმა ხაზი გაუსვა სლოვენიის წარმატებულ პრეზიდენტობას ევროკავშირის საბჭოში და იმედი გამოთქვა, რომ ამ პერიოდში საქართველოს ევროკავშირში ინტეგრაციის დღის წესრიგი კიდევ უფრო აქტიური გახდება.

მთავრობის მეთაურმა ყურადღება გაამახვილა ევროპული და ევროატლანტიკური ინტეგრაციის გზაზე საქართველოს მიერ მიღწეულ პროგრესზე და აღნიშნა, რომ საქართველო 2024 წელს ევროკავშირის სრულფასოვან წევრობაზე ოფიციალური განაცხადის გაკეთებას გეგმავს.

პრემიერ-მინისტრებმა განიხილეს უსაფრთხოების კუთხით არსებული ვითარება და გამოწვევები როგორც გლობალურ, ისე რეგიონულ ჭრილში და ხაზი გაუსვეს თავდაცვის სფეროში თანამშრომლობის გაღრმავების მნიშვნელობას.

ირაკლი ღარიბაშვილმა სლოვენიურ მხარეს მადლობა გადაუხადა ნატო-საქართველოს არსებითი პაკეტის განხორციელებაში ჩართულობისთვის და ისაუბრა ნატოში ინტეგრაციის გზაზე განხორციელებულ რეფორმებზე, ასევე შავი ზღვის უსაფრთხოების უზრუნველყოფაში საქართველოს, როგორც ალიანსის საიმედო პარტნიორის, როლზე.

ხაზგასმით აღინიშნა საქართველოს მნიშვნელოვანი წვლილი საერთაშორისო სამშვიდობო მისიებსა და ავღანეთიდან ევაკუაციის განხორციელების პროცესში.

სლოვენიის რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრმა საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისა და სუვერენიტეტისადმი და ქვეყნის ევროპული და ევროატლანტიკური ინტეგრაციისადმი მტკიცე მხარდაჭერა დაადასტურა.

შეხვედრისას დადებითად შეფასდა ორმხრივი აქტიური სავაჭრო-ეკონომიკური კავშირები და აღინიშნა ამ კუთხით არსებული პოტენციალის სრულად ათვისების მნიშვნელობა.

სლოვენიის პრემიერ-მინისტრმა ირაკლი ღარიბაშვილი სლოვენიაში მიიწვია.

„ტელეკომპანია „მთავარმა“ მოგონილი და არარსებული ინფორმაცია გაავრცელა“

პროკურატურის განცხადება

საქართველოს პროკურატურა განცხადებას ავრცელებს. როგორც უწყების მიერ გავრცელებულ ინფორმაციაშია ნათქვამი, ერთ-ერთმა ტელეკომპანიამ მიზანმიმართულად დაამახინჯა ფაქტები.

საქმე ეხება პროკურატურის მიერ გერმანელ კოლეგებთან ერთად ჩატარებულ სპეციალურ ოპერაციას, რის შედეგადაც დაკავებულნი არიან ტრანსნაციონალური ორგანიზებული დანაშაულებრივი ჯგუფის წევრები.

როგორც განცხადებაშია ნათქვამი, „მთავარმა“ მოგონილი და არარსებული ინფორმაცია გაავრცელა, რაც მიზნად ისახავს საზოგადოების შეცდომაში შეყვანას და წარმატებული სპეციალური ოპერაციის დაკნინების მცდელობას.

„გვსურს გამოვეხმაუროთ 29 ოქტომბერს ტელეკომპანია „მთავარის“ ეთერში გასულ მორიგ დეზინფორმაციას, სადაც მიზანმიმართულად დაამახინჯეს ფაქტები, რომელიც ეხება საქართველოს პროკურატურის მიერ გერმანელ კოლეგებთან ერთად ჩატარებულ სპეციალურ ოპერაციას, რის შედეგადაც დაკავებულნი არიან ტრანსნაციონალური ორგანიზებული დანაშაულებრივი ჯგუფის წევრები.

ტელეკომპანიის მიერ გავრცელებული დეზინფორმაციის მიზანია, ერთი მხრივ, საქართველოს პროკურატურის დისკრედიტაცია და საზოგადოების განზრახ შეცდომაში შეყვანა, ხოლო მეორე მხრივ, წარმატებული სპეციალური ოპერაციის დაკნინების მცდელობა.

აქვე, ხაზგასმით და სრული პასუხისმგებლობით ვაცხადებთ, რომ გადაცემაში გაჟღერებული ინფორმაცია არის სიცრუე და არ შეესაბამება სინამდვილეს.

როგორც საზოგადოებისთვის ცნობილია, ჩატარებული საგამოძიებო და საპროცესო მოქმედებები ერთობლივად იგეგმებოდა ბოლო რამდენიმე თვის განმავლობაში საქართველოს, გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის და ისრაელის სახელმწიფოს სამართალდამცავი უწყებების აქტიური ჩართულობით და სისხლის სამართლის სფეროში თანამშრომლობის ევროკავშირის იუსტიციის ერთიანი ქსელის – ევროჯასთის მხარდაჭერით. 19 ოქტომბერს, ორგანიზებული დანაშაულებრივი ჯგუფის წევრთა დაკავების ღონისძიება და მასთან დაკავშირებული საგამოძიებო მოქმედებები, მხარეთა შეთანხმებით ერთდროულად დაიწყო საქართველოსა და ისრაელში, რის შედეგადაც ორივე სახელმწიფოს ტერიტორიაზე დაკავებული იქნა დანაშაულებრივი ჯგუფის 11 წევრი, მათ შორის ორგანიზებული დანაშაულის რამდენიმე ხელმძღვანელი პირი.

ღონისძიების ჩატარებაში ჩართული იყო 90-მდე ქართველი სამართალდამცავი, ასევე, 20-მდე გერმანელი ოფიცერი და პროკურორი.

საქართველოს ტერიტორიაზე დაკავებულია ყველა ის პირი, რომლის ბრალეულობაც ამ ეტაპზე სისხლის სამართლის საქმეში იკვეთებოდა. საქმეზე კვლავ გრძელდება ინტენსიური გამოძიება და საერთაშორისო თანამშრომლობა დანაშაულებრივი ჯგუფის წევრების, ასევე ანალოგიური საქმიანობით დაკავებული სხვა ფიზიკური თუ იურიდიული პირების გამოვლენის და მხილების მიზნით.

როგორც საზოგადოებისათვის ცნობილია, ჩატარებული სპეციალური ოპერაცია მაღალ დონეზე შეფასდა გერმანული მხარისა და ევროჯასთის მიერ.

ე.წ ქოლ-ცენტრების დანაშაულებრივი საქმიანობის, ამ საქმიანობაში ჩართული პირების გამოვლენაში ჩართულნი არიან სხვადასხვა ქვეყნის სამართალდამცავი ორგანოს თანამშრომლები, რომლებთანაც საქართველოს გენერალური პროკურატურა აქტიურ რეჟიმში თანამშრომლობს.

ასევე, გვსურს საზოგადოებას ვაცნობოთ, რომ სატელევიზიო გადაცემაში ნახსენებ კომპანიას სს „მიდელ სის კაპიტალს“ ჩატარებულ სპეციალურ ოპერაციასთან არანაირი შემხებლობა არ აქვს და საქმის მასალებში, მათ შორის გერმანული მხარის მიერ მოწოდებულ მასალებში, დასახელებული კომპანია არც პირდაპირ და არც ირიბად არ ფიგურირებს.

რაც შეეხება გადაცემაში ნახსენებ შოთა შალელაშვილის ოჯახის წევრს – გარი შალონს, საზოგადოებას ვაცნობებთ, რომ საქართველოს გენერალურ პროკურატურაში, სს „ქართუ ბანკის“ მიერ მოწოდებული ინფორმაციის საფუძველზე, გამოძიება მიმდინარეობს ცალკეული ფიზიკური პირების მიერ განხორციელებული უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის ფაქტზე, დანაშაული გათვალისწინებულია საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 194-ე მუხლით. საქმეზე საქართველოს პროკურატურის შუამდგომლობის საფუძველზე, დაყადაღებულია ათეულობით მილიონი აშშ დოლარი. აღნიშნულ საქმეზე საქართველოს პროკურატურა კოორდინაციაშია და აქტიურად თანამშრომლობს ამერიკის შეერთებული შტატების კომპეტენტურ უწყებებთან.

საქართველოს გენერალურმა პროკურატურამ, ღონისძიებაში ჩართულმა გერმანელმა სამართალდამცველებმა, გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ელჩის მოადგილემ და ევროჯასთმა (სისხლის სამართლის სფეროში თანამშრომლობის ევროკავშირის იუსტიციის ერთიანი ქსელი) ტრანსნაციონალური ორგანიზებული დანაშაულებრივი ჯგუფის წევრების დაკავების სპეციალური ოპერაცია წარმატებულად შეაფასეს და საზოგადოებას ამომწურავი ინფორმაცია მიაწოდეს, მიუხედავად ამისა, ტელეკომპანია „მთავარმა“ მოგონილი და არარსებული ინფორმაცია გაავრცელა, რაც კიდევ ერთხელ ვაცხადებთ, რომ მიზნად ისახავს საზოგადოების შეცდომაში შეყვანას და წარმატებული სპეციალური ოპერაციის დაკნინების მცდელობას“ – აღნიშნულია ინფორმაციაში.

„გოგონამ კარი გააღო და მამაკაცმა ყელში დანა ჩაარტყა“

ვერაზე ტაილანდელი ტრანსგენდერი ქალი მოკლეს

თბილისში, ახვლედიანის ქუჩაზე, უცხო ქვეყნის მოქალაქე მოკლეს, დაჭრილია კიდევ ერთი პირი. ირკვევა, შემზარავი ფაქტი მასაჟის ცენტრ „ლოტუს ტაი მასაჟში“ მოხდა.

მოკლულსა და დაჭრილს ჭრილობები ცივი იარაღით აქვთ მიყენებული.

მოკლული 38 წლის ტაილანდელი ტრანსგენდერი ქალია.

„კურიერმა“ ექსკლუზიურად გადაიღო შემთხვევის ადგილი – მასაჟის ცენტრი, სადაც ტაილანდის მოქალაქე მუშაობდა. დაჭრილია კიდევ ერთი ქალი. ქალი შემთხვევიდან მალევე გადაიყვანეს კლინიკაში და მისი ჯანმრთელობის მდგომარეობიდან გამომდინარე, მალევე გამოწერეს. ის უკვე იმყოფება ტაილანდური მასაჟის ცენტრში, თუმცა მას უჭირს გაიხსენოს, რა

მოხდა 31 ოქტომბერს გვიან ღამით.

მომხდარს დეტალურად იხსენებენ ცენტრის სხვა თანამშრომლები. ისინი ყვებიან, რომ დაპირისპირება მოხდა მასაჟის სპეციალისტსა და მომხმარებელს შორის, მას შემდეგ, რაც მომხმარებელმა მოითხოვა მასაჟის გარდა დამატებითი მომსახურება, რაზეც მას უარი ეთქვა.

– ძალიან სწრაფად მოხდა ყველაფერი, ვიღაცამ დაიკაკუნა, გოგონამ გააღო, შემდეგ უკვე მამაკაცმა დანა ყელის არეში ჩაარტყა. მანამდე ჩვენ ამ მამაკაცს არ ვიცნობდით, ნანახი არ გვყავდა. ეს მოხდა, მეტი არაფერი ვიცით. გარდაცვლილ გოგონას არავისთან ჰქონია პრობლემა, ძალიან კარგი ადამიანი იყო, – თქვა ცენტრის ერთ-ერთმა თანამშრომელმა.

– ძალიან დაუცველად ვგრძნობთ თავს, განსაკუთრებით მას შემდეგ, რაც გუშინ მოხდა, ერთმა პირმა ყელი გამოჭრა ერთ ჩვენ კოლეგას, მეორე კოლეგა კი დაჭრა. პოლიცია მთელი ღამე მუშაობდა, მაგრამ, როგორც ვიცი, არავინ დაუკავებიათ. ძალიან გვეშინია და არ ვიცით, როგორ შევძლებთ მუშაობის გაგრძელებას, – განაცხადეს მასაჟის ცენტრში.

„კარალიოკს ვჭამდი და უცბად დამეტაკა ტუჩებში“

ხონში ქალი ტურამ დაკბინა

ხონში, პატარა ჯიხაიში, ქალს ტურა დაესხა თავს – ინფორმაციას ამის შესახებ მოქალაქე, ლევან კობეშავიძე სოციალურ ქსელში ავრცელებს.

შემთხვევა დღის საათებში მოხდა. დაშავებული მოქალაქე იხსენებს, რომ შემთხვევა მაშინ მოხდა, როდესაც ის მეზობლისგან საკუთარ სახლში ბრუნდებოდა.

როგორც ნანა მიქაძე ამბობს, სოფელში ბევრი ტურაა და ღამით ადგილობრივებს მათი ხმა ყოველთვის ესმით, თუმცა დღის საათებში არ უნახავთ.

– კარალიოკს ვჭამდი, არ დავკვირვებივარ, ძაღლი მეგონა. ბუჩქებიდან უცებ მომიახლოვდა და დამეტაკა ტუჩებში პირდაპირ. ვერაფრით ვერ მოვაშორე და ხელები ჩავყავი, ტუჩები არ მომაგლიჯოს-მეთქი, ორივე ხელით დავაბერტყე დაბლა და დავაჭირე ფეხი და დავიძახე – მიშველეთ! მერე ნაჯახით მოკლეს და მერე სასწრაფოც გამოვიძახეთ, – გაიხსენა ნანა მიქაძემ.

მიხეილ სააკაშვილის გორის ჰოსპიტალში გადაყვანა არ იგეგმება

სპეციალური პენიტენციური სამსახურის ინფორმაციით, ნიკა გვარამიას მიერ გავრცელებული ბრალდება, რომ მიხეილ სააკაშვილის გორის ჰოსპიტალში გადაყვანა იგეგმება, სიმართლეს არ შეესაბამება.

„მოვუწოდებთ ყველას, თავი შეიკავონ გადაუმოწმებელი ინფორმაციის გავრცელებისა და საზოგადოების შეცდომაში შეყვანისგან“ – აღნიშნულია პენიტენციური სამსახურის მიერ გავრცელებულ განცხადებაში.

ინფორმაციისთვის, საქართველოს მესამე პრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილის ადვოკატის ნიკა გვარამიას განცხადებით, აქვთ ინფორმაცია, რომ მიხეილ სააკაშვილის გადაყვანას გორის ჰოსპიტალში აპირებენ, სადაც შესაძლოა, დაიგეგმოს ე.წ. ოსური სპეცრაზმის მიერ სააკაშვილის გატაცება.

კახეთში პოლიციელებს სცემეს

შსს-მ გამოძიება დაიწყო

ჩილნენ პოლიციელთა კანონიერ მოწოდებებს და განაგრძეს ერთმანეთთან ფიზიკური დაპირისპირება. ასევე, ჩხუბში მონაწილე ერთ-ერთი მხარე პოლიციის მიმართ გახდა აგრესიული. მათ სამართალდამცველებს სიტყვიერი და ფიზიკური შეურაცხყოფა მიაყენეს. მომხდარი ინციდენტის დროს დაშავებული მოქალაქეები თელავის რეფერალურ საავადმყოფოში გადაიყვანეს.

მათ ჯანმრთელობას საფრთხე არ ემუქრება. ინციდენტის დროს სხვადასხვა სახის დაზიანებები მიიღეს პოლიციის თანამშრომლებმაც. დაპირისპირებაში მონაწილე როგორც მხარეების, ასევე იმ პირთა იდენტიფიცირების მიზნით, რომლებმაც წინააღმდეგობა გაუწიეს პოლიციის თანამშრომლებს, შესაბამისი საგამოძიებო და საპროცესო მოქმედებები გრძელდება“ – აღნიშნულია განცხადებაში.

თელავის რაიონულ სამმართველოში ყარაჯალაში მომხდარ მოქალაქეებს შორის ძალადობის ფაქტზე გამოძიება სსკ-ის 126-ე მუხლით, ხოლო პოლიციის თანამშრომლებზე განხორციელებულ თავდასხმის და დაუმორჩილებლობის ფაქტზე სისხლის სამართლის კოდექსის 353-ე პრიმა მუხლით დაიწყო. საქმეს კახეთის სამხარეო პოლიციის დეპარტამენტი იძიებს.

თბილისის აეროპორტში არადეკლარირებული ოქროს ნაკეთობების შემოტანის ფაქტები აღიკვეთა

ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის საბაჟო გამშვებ პუნქტში „თბილისის აეროპორტი“, სომხეთის რესპუბლიკის მოქალაქეების როგორც ფიზიკურად, ისე კუთვნილი ბარგის დათვალიერების შედეგად, არადეკლარირებული ოქროს საიუველირო ნაკეთობები (საერთო წონა 322,5 გრამი) გამოვლინდა. ამის შესახებ ინფორმაციას შემოსავლების სამსახური ავრცელებს.

მათი ინფორმაციით, ოქროს ნივთების საერთო ღირებულებამ ჯამში, 37 061,99 ლარი შეადგინა.

„საქართველოს საბაჟო კოდექსის 168-ე მუხლის I ნაწილის შესაბამისად, კანონდამრღვევი სომხეთის მოქალაქე ა.მ.ა. სანქციის სახით, 14304.63 ლარით დაჯარიმდა, ხოლო, სამართალდამრღვევი სომხეთის მოქალაქის ა.ს.ბ.-ს საქმის მასალები, შემდგომი რეაგირების მიზნით, ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურს გადაეცა“ – აღნიშნულია ინფორმაციაში.

ნინოწმინდის პანსიონიდან ბავშვების გამოყვანა სააპელაციო სასამართლომ კანონიერად მიიჩნია

ნინოწმინდის პანსიონიდან ბავშვების გამოყვანა სააპელაციო სასამართლომ კანონიერად მიიჩნია. ამის შესახებ ინფორმაციას „პარტნიორობა ადამიანის უფლებებისთვის“ ავრცელებს. ორგანიზაციის ცნობით, ძალაში დარჩა საქალაქო სასამართლოს განჩინება, რომლის თანახმადაც, საქართველოს ჯანდაცვის სამინისტროსა და სახელმწიფო ზრუნვის სააგენტოს დაევალა პანსიონში მოთავსებული შშმ ბავშვების დაუყოვნებელი, ყოველგვარი ხელშეშლის გარეშე, გამოყვანა და სხვა სახელმწიფო მზრუნველობის დაწესებულებაში განთავსება (მინდობით აღზრდა, მცირე საოჯახო ტიპის სახლში) ან ოჯახებში დაბრუნება.

სააპელაციო სასამართლო მიუთითებს, რომ „ბავშვის უფლებათა კოდექსის“ მიხედვით აკრძალულია ბავშვებზე ფიზიკური და ფსიქოლოგიური ძალადობა, ჩაგვრა, იძულება წამება და ძალადობის სხვა ნებისმიერი ფორმის გამოყენება. ხოლო სახელმწიფო ვალდებულია, ნებისმიერი ფორმის ძალადობისგან ბავშვების დასაცავად, შექმნას ძალადობის შეტყობინების, გასაჩივრების, რეფერირების და გამოძიების ეფექტური მექანიზმები.

ძალადობის შედეგად დაზარალებული ბავშვების ფიზიკური და ფსიქოლოგიური რეაბილიტაციისა და უფლებების აღდგენისთვის საჭიროა აუცილებელი ღონისძიებების განხორციელება.

პალატის მოსაზრებით, ამ კონკრეტულ შემთხვევაში სახეზე იყო ნინოწმინდის პანსიონში მყოფი შშმ ბავშვების საუკეთესო ინტერესიდან გამომდინარე, სწრაფი რეაგირების აუცილებლობა. სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილებით, ნინოწმინდის პანსიონის კერძო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს და ძალაში დარჩეს თბილისის საქალაქო სასამართლოს 5 ივნისის დროებითი განჩინება.

იაპონიის საპარლამენტო არჩევნები მმართველმა პარტიამ მოიგო

იაპონიის მმართველმა ლიბერალურ-დემოკრატიულმა პარტიამ ქვეყანაში ჩატარებული საპარლამენტო არჩევნების შედეგად საკანონმდებლო ორგანოს ქვედა პალატაში უმრავლესობა შეინარჩუნა. კერძოდ, არჩევნების შედეგების თანახმად, ლიბერალურ-დემოკრატიულმა პარტიამ 465 მანდატიდან 261 მიიღო, მისმა კოალიციურმა პარტნიორმა, პარტია კომეიტომ კი – 32 მანდატი.

ამან ჯამში 293 მანდატი შეადგინა, რაც მყარი უმრავლესობის ჩამოყალიბებისთვის სრულიად საკმარისია.

არჩევნების შედეგებს იაპონის პრემიერ-მინისტრი ფუმიო კიშიდა გამოეხმაურა.

– ჩვენ უმრავლესობა მოვიპოვეთ, რაც, ვფიქრობ, მნიშვნელოვანი იყო ამ არჩევნებში. მინდა ეს სრულად გამოვიყენო როგორც მთავრობის, ასევე პარლამენტის მართვაში. სწრაფად განვახორციელებთ პოლიტიკას, რათა ვუპასუხოთ იმ ხალხის ხმებს, რომლებიც მივიღეთ ქვეყნის მასშტაბით, რომლებსაც მტკიცედ სურთ პოლიტიკური სტაბილურობა და პოლიტიკის განხორციელება, – განაცხადა პრემიერმა.

იაპონიაში საპარლამენტო არჩევნები 31 ოქტომბერს ჩატარდა.

ისრაელი ვაქცინირებულ ან კოვიდისგან გამოჯანმრთელებულ ტურისტებს საზღვრებს უხსნის

ისრაელმა, 2020 წლის მარტიდან პირველად, ვაქცინირებული ან კორონავირუსისგან გამოჯანმრთელებული უცხოელი ტურისტებისთვის საზღვრები გახსნა.

ისრაელში ტურისტები მხოლოდ იმ ქვეყნებიდან დაიშვებიან, რომლებიც დაინფიცირების მაღალი მაჩვენებლის გამო ე.წ. წითელ სიაში არ არიან შეყვანილი.

ამასთან, ახალი რეგულაციების თანახმად, ვიზიტორები თვითმფრინავში ჩასხდომამდე 180 დღის განმავლობაში უნდა იყვნენ აცრილები. თუმცა ვაქცინის მეორე ან მესამე დოზის მიღებიდან 14 დღეზე ნაკლები არ უნდა იყოს გასული.

ისრაელში ის ტურისტები დაიშვებიან, რომლებიც ვაქცინირებულები არიან ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის მიერ დამტკიცებული ვაქცინებით. მიმდინარე თვის შუა რიცხვებიდან კი ისრაელი რუსული „სპუტნიკით“ აცრილ ტურისტებსაც დაუშვებს.

აშშ-ში ჰელოუინის დღესასწაულზე 12 ადამიანი დაიღუპა

აშშ-ში, ილინოისის შტატში, ერთ-ერთ სახლში ჰელოუინის წვეულების აღნიშვნისას მომხდარი სროლის შედეგად 2 ადამიანი გარდაიცვალა, ათობით კი დაშავდა.

ეს ერთ-ერთი მასობრივი სროლა იყო, ჰელოუინის დღესასწაულზე სხვადასხვა ლოკაციაზე სულ მცირე 11 განხორციელებულ მასობრივ სროლას შორის, რომელსაც მსხვერპლი მოჰყვა.

ჯამში, ადგილობრივი მედია-საშუალებებისა და პოლიციელების განცხადებით, 12 ადამიანი გარდაიცვალა, 52 კი დაშავდა.

მასობრივი სროლა რამდენიმე ლოკაციაზე განხორციელდა. მათ შორის: კოლორადოში, კენტუკიში, ტეხასში, კალიფორნიაში, ფლორიდასა და ოკლაჰომაში.

მოამზადა ნიკა თევზაძემ

მამაკაცმა ნავით სეირნობის დროს წყალში ქალი შენიშნა და დაღუპვას გადაარჩინა

ამერიკის კალიფორნიის შტატის ქალაქ მალიბუში 60 წლის ხოსროვ „კოზ“ ხოსრავანი ნავით სეირნობდა, როდესაც წყალში ქალი შენიშნა, რომელიც ისე იყო გაციებული და დაუძლურებული, რომ ვეღარ ინძრეოდა.

საიალქნო სპორტის მოყვარული ხოსრავანი მეგობრებთან ერთად სეირნობდა. ერთ მომენტში მან დელფინები შენიშნა და გადაწყვიტა მარშრუტი შეეცვალა, მათ მიახლოვებოდა და ახლოდან დაკვირვებოდა. მათთან ახლოს მისულმა, ცივ წყალში რაღაც უჩვეულო შენიშნა, წყალში ადამიანის ხელი მოჩანდა.

– რომ არა დელფინები, იმ ქალს ვერასოდეს ვნახავდი, რომელსაც რამდენიმე წუთის სიცოცხლე ჰქონდა დარჩენილი, – განაცხადა მამაკაცმა და იქვე დაამატა, რომ რამდენიმე კვირით ადრე მან სწავლა დაამთავრა და ამერიკის საიალქნო სპორტის ასოციაციის სერტიფიკატი მიიღო.

– მეგობრებს ვუთხარი, რომ ამ ყველაფრის ცოდნა მათთვის სასარგებლო იყო, თუმცა რაიმე მსგავსი არასოდეს მოხდებოდა და 30 წუთში მისი გამოყენება დაგვჭირდა, – აღნიშნა ხოსრავანიმ. მან ქალს თოკმობმული ტივტივა გადაუგდო, რათა ის მას მოსჭიდებოდა და შემდეგ ნავამდე მიღწევაში დაეხმარა. მალე ქალი ნავში აღმოჩნდა.

ქალი იმდენად იყო გაციებული, რომ სიტყვის თქმას ვერ ახერხებდა. მამაკაცმა ის თბილ ოდეალაში გაახვია და ხმელეთზე გამოიყვანა. შემდეგ გაირკვა, რომ ქალი ღამით საბანაოდ შესულა წყალში და ის დინებამ გაიტაცა. მან ცივ წყალში 12 საათი გაატარა. ქალი სამი დღით საავადმყოფოში მოათავსეს, შემდეგ კი სახლში გაუშვეს.

ქალმა სახლის დალაგების დროს მსხვილი ბრილიანტი იპოვა



ინგლისის ქალაქ ნორთუმბერლენდში ქალმა სახლის დალაგების დროს იპოვა და კინაღამ ნაგავში გადააგდო 34-კარატიანი ბრილიანტი და რომელშიც მას ორი მილიონი ფუნტი სტერლინგის აღება შეუძლია.

70 წლის ბრიტანელი სახლს აწესრიგებდა და ძვირფასეულობას და ბიჟუტერიას ცალ-ცალკე კოლოფებში ანაწილებდა. ის უსარგებლო ბიჟუტერიის გადაყრას აპირებდა, თუმცა მეზობელმა ურჩია, რომ ისინი ექსპერტისთვის ეჩვენებინა და მათი ფასი გაეგო. ქალმა აუქციონის სახლის ორგანიზატორ მერკ ლეინს მიმართა, რომელმაც თავდაპირველად მისთვის ნაჩვენებ ქვას მნიშვნელობა არ მიანიჭა.

– საკმაოდ მოზრდილი ქვა ვნახეთ, ფუნტიან მონეტაზე მეტი ზომის და გავიფიქრე, რომ ის კუბური დიოქსიდ ცირკონი იყო, ალმასის სინთეტური ანალოგი. ის ჩემ მაგიდაზე ორი თუ სამი დღე იდო, სანამ ალმასების შესამოწმებელი მანქანით არ ვისარგებლე, – განაცხადა ლეინმა.

ბრიტანელი მიხვდა, რომ საქმე ნამდვილ ძვირფას ქვასთან ჰქონდა და გადაწყვიტა, ლონდონში პარტნიორებთან შესამოწმებლად გაეგზავნა. მათ მისი ეჭვი დაადასტურეს. შემდეგ ბრილიანტის ქვა ბელგიის ქალაქ ანტვერპენში ჩაიტანეს, სადაც აწონეს, სერტიფიცირება გაუკეთეს და შეაფასეს. აღმოჩნდა, რომ ბრილიანტის წონა 34 კარატს შეადგენდა.

ბრილიანტის მფლობელის თქმით, ის ვერ იხსენებს, სად და როდის იყიდა ძვირფასი ქვა, თუმცა ფიქრობს, რომ ეს მეორადების ბაზრობაზე მოხდა.

ბრილიანტი ლონდონის საიუველირო კვარტალ ჰატონ-გარდენში სეიფის საცავში აუქციონამდე მოათავსეს, რომელიც მიმდინარე წლის 30 ნოემბერს გაიმართება.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

მორაგბეთა ნაკრებმა ნოემბრის ტესტებისთვის მზადება დაიწყო

საქართველოს მორაგბეთა ნაკრები 14 ნოემბერს ბორდოში საფრანგეთს საქართველოს დროით 17 საათზე ეთამაშება, ხოლო 20 ნოემბერს ესპანეთში, მადრიდის მახლობლად, არანხუესში ფიჯის ვერკინებით.

„ბორჯღალოსნების“ სამწვრთნელო შტაბმა ნოემბრის ტესტ-მატჩებისთვის 33-კაციანი გაფართოებული შემადგენლობა დაასახელა.

ლევან მაისაშვილმა გაფართოებულ შემადგენლობაში ყველა იმ მორაგბეს უხმო, რომლის ხილვაც ამ ეტაპზე სურდა. 33 მორაგბიდან 19 მორკინალი და 14 ხაზის მოთამაშეა.

მთავარი მწვრთნელი კმაყოფილია, რომ მომავალი შეხვედრებისთვის საუკეთესო შემადგენლობის შეკრება მოახერხა. ასევე მნიშვნელოვანია, რომ მოთამაშეთა უმეტესობა სათამაშო პრაქტიკის ნაკლებობას არ უჩივის.

ლევან მაისაშვილი:

– ბოლო 2 წლის განმავლობაში პრაქტიკულად პირველად მოხდა, რომ მაქსიმალურად ოპტიმალური შემადგენლობა შევკრიბეთ. შეკრებაზე გვყავს თითქმის ყველა ის მორაგბე, რომლის ხილვაც ამ ეტაპზე გვსურდა. ერთადერთი, ჯაბა ბრეგვაძემ ვერ შეძლო ჩამოსვლა. მნიშვნელოვანია, რომ მოთამაშეებმა ტრავმები მოიშუშეს და დაგვიბრუნდნენ. ხანგრძლივი შესვენების შემდეგ ყველას ერთად ნახვა სასიამოვნო ფაქტია.

ასევე სასიამოვნოა, რომ მორაგბეთა უმეტესობას კლუბებში საკმარისი სათამაშო დრო აქვთ და მომავალ შეხვედრებს კარგ ფორმაში ხვდებიან. კარგი იყო, შავ ლომს მე-3 თამაშიც ჩაეტარებინა, მაგრამ ვერაფერს ვიზამთ. კარგია, რომ მოსამზადებელი ეტაპი ერთად გავიარეთ და ამ მხრივ უკეთეს პოზიციაში ვართ, ვიდრე გასულ წლებში. 2017-19 წლებში ლეგიონერების აქტივობა კლუბებში იყო დაბალი, რასაც პანდემია მოყვა. კარგია, რომ წელს სურათი შეიცვალა და უთამაშებლობის პრობლემა ისე მწვავედ აღარ დგას, – განაცხადა მაისაშვილმა.

„ბორჯღალოსნების“ გაფართოებული რაზმი ნოემბრის ტესტებისთვის ასე გამოიყურება:

შერკინება: მიხეილ ნარიაშვილი, ნიკოლოზ ხატიაშვილი, გურამ გოგიჩაშვილი; შალვა მამუკაშვილი, გიორგი ჭყოიძე, ვანო კარკაძე; ბექა გიგაშვილი, გიორგი მელიქიძე, ლუკა ჯაფარიძე; კოტე მიქაუტაძე, ნოდარ ჭეიშვილი, დავით გიგაური, ლაშა ჯაიანი, გრიგორ ქერდიყოშვილი; გიორგი ცუცქირიძე, ბექა სალინაძე, თორნიკე ჯალაღონია, ოთარ გიორგაძე და ბექა გორგაძე;

ხაზი: ვასილ ლობჟანიძე, გელა აფრასიძე, მიხეილ ალანია; თედო აბჟანდაძე, გიორგი ბაბუნაშვილი; მერაბ შარიქაძე, გიორგი კვესელაძე, დემურ თაფლაძე, სანდრო სვანიძე; სანდრო თოდუა, აკაკი ტაბუცაძე, მირიან მოდებაძე; დავით ნინიაშვილი და ლაშა ხმალაძე.

გუნდი უკვე შევიდა შეკრებაზე „შევარდენის“ ბაზაზე და 7 ნოემბერს ბორდოში გაემგზავრება, სადაც პირველი მატჩის წინ მზადების დასკვნით ეტაპს გაივლის.

საქართველოს თასის ფინალს ქუთაისი უმასპინძლებს

საქართველოს დავით ყიფიანის სახელობის თასის ნახევარფინალური ეტაპის წყვილები წილისყრის შედეგად გაირკვა. ქობულეთის შუქურა წყალტუბოს სამგურალს უმასპინძლებს, ხოლო საბურთალო შინ ბათუმის დინამოს დაუხვდება.

ცნობილია ისიც, რომ ფინალური მატჩი ქუთაისის რამაზ შენგელიას სახელობის სტადიონზე გაიმართება, ხოლო მასპინძლის სტატუსით ქობულეთის შუქურასა და წყალტუბოს სამგურალის წყვილში გამარჯვებული გუნდი ითამაშებს.

ეს პირველი შემთხვევა არ იქნება, როდესაც გადამწყვეტი შეხვედრა ქუთაისში გაიმართება. 2015-16 წლების საქართველოს თასის ფინალი სწორედ ქუთაისში აღიმართა, სადაც დინამო თბილისმა სიონი მინიმალური სხვაობით დაამარცხა და ტიტული ისტორიაში მეცამეტედ ასწია, რაც ამ დრომდე საუკეთესო მაჩვენებელია.

თბილისის დინამომ ბათუმელებთან სხვაობა მინიმუმამდე დაიყვანა

ტორპედო უმწვრთნელოდ დარჩა

დინამო (თბ)-თელავი 4:0

თბილისი. დინამო არენა

1:0 რადინი (40), 2:0 ხარაბაძე (72), 3:0 მარუშიჩი (90), მოისწრაფიშვილი (90)

დინამო: პრიეტო, სპორკსლედე, ბენიო, პაპავა, ხვადაგიანი, ხარაბაძე (მოისწრაფიშვილი 86), მექვაბიშვილი, ქავთარაძე (კუცია 74), რადინი (ქარდავა 62), ბარნსი (მორჩილაძე 74), მარუშიჩი

თელავი: თანდილაშვილი, თევზაძე, ფაცაცია, შერგელაშვილი, თოლორდავა, ჩუკვურა (არდაზიშვილი 58), მ.ბაშელეიშვილი (მარაქველიძე 78), ჯანელიძე, ჩოგაძე (ჟუნიორი 58), აშორტია (ჯიქია 81), შეყილაძე (რუხაძე 58)

ეროვნული ლიგის დაუსრულებელ ტურში თბილისის დინამომ დამაჯერებელი გამარჯვება მოიპოვა. დედაქალაქელებმა საკუთარ მოედანზე თელავს უმასპინძლა და მეტოქე 4:0 დაამარცხა.

ანგარიში მილან რადინის მიერ გატანილი გოლით მატჩის მე-40 წუთზე გახსნა და დინამო შესვენებაზე მინიმალური უპირატესობით გავიდა.

მე-2 ტაიმში მასპინძელთა აქტიურობას თელაველთა კარში კიდევ 3 გატანილი გოლი მოჰყვა. ჯერ ლევან ხარაბაძემ გამოიჩინა თავი, მატჩის მიწურულს ზორან მარუშიჩმა სეზონის მე-14 გოლი გაიტანა და ბომბარდირთა დავაშიც დაწინაურდა. საბოლოო წერტილი კი, გიორგი მოისწრაფიშვილმა დასვა.

ამ გამარჯვებით დინამოელები მთავარ კონკურენტს მაქსიმალურად მიუახლოვდნენ. ბათუმის დინამოსთან კახი ცხადაძის გუნდს მხოლოდ ერთქულიანი ჩამორჩენა აქვს. თუმცა, მიმდინარე ტურის შეხვედრა ბათუმელებს ჩასატარებელი აქვთ.

ტორპედო-დილა 0:3

ქუთაისი. რამაზ შენგელია

0:1 გაგნიძე (55)), 0:1 მადინგა (77), 0:3 ბიძინაშვილი (90)

ტორპედო: შოვნაძე, ვ.ტაბატაძე (წოწონავა 65), მირცხულავა, ნადარაია (ჩალაძე 84), მუდიმუ, კარაგუნისი, მამასახლისი, ძარია (ცინცაძე 25), რეკიში (მჭედლიძე 65), ზიდანი (ბუკასი 65), თ.ახვლედიანი

დილა: გუგეშაშვილი, ჩიტეიშვილი (ნემსაძე 84), ჭიჭინაძე, სანტოსი, სილვა, ნონდი, გაგნიძე, ბიძინაშვილი, მადინგა (თავყელიშვილი 90), კამარა, ღუდუშაური (მოსიაშვილი 84)

გაძევება: ცინცაძე (71), ჭიჭინაძე (90)

ქუთაისის ტორპედომ საკუთარ მოედანზე გორის დილას უმასპინძლა და მნიშვნელოვანი ქულები დაკარგა. სტუმრებმა მასპინძლებს 3 უპასუხო გოლი გაუტანეს.

ანგარიში შეხვედრაში 55-ე წუთზე ნიკა გაგნიძემ გახსნა. მატჩის 73-ე წუთზე ტორპედოს მდგომარეობა დამძიმდა – მათე ცინცაძე მოედნიდან გააძევეს.

ათი კაცით დარჩენილ რიონისპირელებს გორელებმა კიდევ 2-ჯერ გაუტანეს. თავი ჯერ ფრანსისკო მადინგამ გამოიჩინა, მსაჯის მიერ კომპენსირებულ დროში კი, ირაკლი ბიძინაშვილმა საბოლოო შედეგი დააფიქსირა – 0:3.

რიონისპირული კლუბის ხელმძღვანელობამ ტორპედოელთა მთავარი მწვრთნელი კახა ჩხეტიანი გაათავისუფლა.

სატურნირო ცხრილი:

1.დინამო (ბთ)	31	18	10	3	62-25	64
2.დინამო (თბ)	32	19	6	7	54-25	63
3.დილა	32	16	8	8	44-30	56
4.საბურთალო	31	13	11	7	44-32	50
5.ლოკომოტივი	31	14	5	12	50-53	47
6.სამგურალი	31	8	12	11	31-38	36
7.თელავი	32	9	8	15	28-48	35
8.ტორპედო	32	6	12	14	28-41	30
9.შუქურა	31	5	11	15	26-42	26
10.სამტრედია	31	5	5	21	28-61	20

მოამზადა მიხეილ ჟორჟოლიანმა

განცხადებები

● 45-წლიანი გამოცდილებით გთავაზობთ პარაფსიქოლოგის მომსახურებას – გაუმართლებლობა, ქალის ბედის გახსნა, მტრის ჩამოშორება, შებოჭილობა, დეპრესია, კოშმარული სიზმრები, პიროვნებებს შორის აგრესიები, მოღალატე ქმრის მორჯულება, ეჭვიანობა, თვითმკვლელობის სურვილი, პათოლოგიური სიმთვრალე და კიდევ მრავალი პრობლემის მოგვარება, შესაძლებელია პაციენტის გარეშეც. ფოტოსურათი აუცილებელია. ტელ: 599-49-84-23 ნანა. მიღება წინასწარი ჩაწერით.

თსუ და ცხუმი წაუგებლად მიდიან

თსუ-ვერა 98:67
(21:16, 26:20, 22:20, 29:11)

სუპერლიგას გამოკვეთილი ლიდერი ჰყავს – ლექსო ლაფანაშვილის გაწვრთნილმა თსუ-მ მე-3 ტურის მატჩში ვერა 98:67 დაამარცხა და ჩემპიონატს დაუმარცხებლად ლიდერობს. უნივერსიტეტელებმა 3-დან 3 შეხვედრა მოიგეს – დინამოსა და ოლიმპის კვალზე ვერასაც საკმაოდ დამაჯერებლად სძლიეს და ცხრილში ერთპიროვნულად გაპირველდნენ.

თსუ-ს, რომელიც აქამდე ცენტრის გარეშე თამაშობდა, ვერასთან სენეგალელი ლეგიონერი დაემატა. პაპ დიოპს საკმაოდ კარგი დებიუტი გამოუვიდა – აფრიკელმა ცენტრმა 16 ქულა, 14 მოხსნა და 2 დაფარება მიითვალა, რაც მთლიანობაში მატჩის საუკეთესო შედეგი გახლდათ.

დიოპს ფარქვეშ კარგად ეხმარებოდა ივანე მეგენეიშვილი და მაიზერ რევაზაშვილი – ეს კალათბურთელები როტაციით თამაშობდნენ და თსუ-ს სამწამიანში არ გასჭირვებია. აღსანიშნავია, რომ ვერა ტრავმირებული ცენტრის, ვახტანგ ქადარიას გარეშე თამაშობდა და, შესაბამისად, ფარქვეშ თსუ-ს დომინაცია აშკარა იყო.

ვერელებს წარმატების მისაღწევად პერიმეტრის იმედი დარჩათ, მაგრამ თსუ საამისოდაც კარგად მომზადებული აღმოჩნდა. უნივერსიტეტელებმა აქცენტი მეტოქის უკანახაზელების განეიტრალებაზე აიღეს, რაც მათი პერიმეტრზე მაქსიმალურ შეზღუდვაში გამოიხატა და შედეგმაც არ დააყოვნა. ვერა ვერ ხეირობდა შორი სროლებით, შესაბამისად, მდევრის როლში იყო და თამაში ისე ჩამთავრდა, მაქსიმუმი, რაც მოახერხა, ჩამორჩენის 10 ქულამდე შემცირება იყო.

საბოლოოდ თსუ-მ 31 ქულით დამაჯერებლად მოიგო და როგორც აღვნიშნეთ, სუპერლიგას ერთპიროვნულად ლიდერობს. გამარჯვებულთაგან საუკეთესო პაპ დიოპის კვალზე 20-20 ქულით ნიკოლოზ დარბაიძე და ლოველ ქანილი გამოირჩნენ. 11 ქულა რაილ ოუენსმა, ხოლო 9-9 – ივა მეგენეიშვილმა და მაიზერ რევაზაშვილმა მიითვალეს. ვერაში 17 ქულითა და 10 მოხსნით საუკეთესო იყო გიორგი ცირეკიძე. 12 ქულა მოაგროვა ობრი მაკალპინმა.

ცხუმი-ტიტები 74:71
(17:19, 26:13, 9:23, 22:16)

შეხვედრის ბედი ბოლო წუთზე ცხუმელების სასარგებლოდ გადაწყდა, რომლებმაც შეხვედრა მცირე უპირატესობით – 74:71 მოიგეს და სუპერლიგაში დაუმარცხებლები არიან.

წაუგებელი გუნდის სტატუსით მხოლოდ 3 გუნდი სარგებლობს. ცხუმ-აფხაზეთთან ერთად წაგების გემო არ განუცდიათ სუპერლიგის ლიდერ თსუსა და მის კვალში მდგომ ქუთაისს.

ირაკლი ძიძიგურის გაწვრთნილმა ცხუმელებმა ტიტებთან მე-3 მეოთხედის ჩაგდების მიუხედავად, მობილიზება მოახერხეს და გამარჯვებამდე მისვლა.

რეალურად კი, მატჩის ბედი ერთმა ეპიზოდმა გადაწყვიტა. შეხვედრის დასრულებამდე 33 წამით ადრე, ტიტები ქულას აგებდა და უტევდა. გვერდითი ხაზიდან შემოტანილი ბურთი ისააკ ასრატმა მიღო, გუნდის ლიდერ ჯორდან რობერტსონს გადააწოდა და ამ უკანასკნელმა დრიბლინგი გარბენით დაიწყო და ბურთი ცხუმ-აფხაზეთს გადაეცა, რომლის უკანახაზელმა ტაილერ გრინმა საპასუხო შეტევაში საშუალო მანძილიდან აცილა. თუმცა, ცხუმელები გიორგი შარაბიძემ იხსნა, რომელმაც თანაგუნდელის აცილებული ბურთი მოხსნა და ფარში მოათავსა – 74:71.

ტიტებს თამაშის გადასარჩენად 6 წამი დარჩათ, რა დროშიც ისააკ ასრატმა 3-ქულიანის სროლა მოასწრო, მაგრამ აცილა და შეხვედრაც ცხუმელებმა მოიგეს.

გამარჯვებულებს 22 ქულითა და 9 მოხსნით ალექს ფიკოკმა ულიდერა. 10-10 ქულა ნიკა ჩეჩელაშვილმა და ტაილერ გრინმა მიითვალეს. ტიტებში საუკეთესო შედეგი ჯავიონ ოგუნიემიმ დააფიქსირა – 15 ქულა, 14 მოხსნა, ხოლო ბომბარდირი 28 ქულით ჯორდან რობერტსონი გახდა.

საკუთხინიო ცხრილი:

1.თსუ	3	3	0	278-230	6
2.ოლიმპი	3	2	1	233-211	5
3.მეგა	3	2	1	228-224	5
4.ვერა	3	1	2	246-304	4
5.ცხუმი	2	2	0	158-148	4
6.დინამო	3	1	2	263-275	4
7.ბათუმი	3	1	2	267-260	4
8.ტიტები	3	1	2	232-217	4
9.კაკეტუსი	3	0	3	201-254	3
10.ქუთაისი	1	1	0	132-96	2
11.რუსთავი	1	0	1	77-96	1

შედეგები

31 ოქტომბერი

ფეხბურთი

ინგლისი. პრემიერლიგა

ნორვიჩი-ლიდსი 1:2
ასტონ ვილა-ვესტ ჰემი 1:4

საკუთხინიო ცხრილი:

1.ჩელსი	10	8	1	1	26-3	25
2.ლივერპული	10	6	4	0	29-8	22
3.სიტი	10	6	2	2	20-6	20
4.ვესტ ჰემი	10	6	2	2	20-11	20
5.მანჩესტერი	10	5	2	3	19-15	17
6.არსენალი	10	5	2	3	12-13	17
7.ბრაიტონი	10	4	4	2	11-11	16
8.ტოტენჰემი	10	5	0	5	9-16	15
9.ევერტონი	9	4	2	3	15-14	14
10.ლესტერი	10	4	2	4	15-17	14
11.ვულვზი	9	4	1	4	9-9	13
12.ბრენტფორდი	10	3	3	4	12-12	12
13.კრ.პალასი	10	2	6	2	13-14	12
14.საუთჰემპტონი	10	2	5	3	9-12	11
15.ასტონ ვილა	10	3	1	6	14-19	10
16.უოტფორდი	10	3	1	6	12-18	10
17.ლიდსი	10	2	4	4	10-17	10
18.ბარნლი	10	1	4	5	10-16	7
19.ნიუკასლი	10	0	4	6	11-23	4
20.ნორვიჩი	10	0	2	8	3-25	2

გერმანია. ბუნდესლიგა

აუგსბურგი-შტუტგარტი 4:1
გლადბახი-ბოხუმი 2:1

საკუთხინიო ცხრილი:

1.ბაიერნი	10	8	1	1	38-10	25
2.დორტმუნდი	10	8	0	2	27-15	24
3.ფრაიბურგი	10	6	4	0	17-7	22
4.ლევერკუზენი	10	5	2	3	23-16	17
5.მაინცი	10	5	1	4	14-10	16
6.უნიონი	10	4	4	2	15-15	16
7.ვოლფსბურგი	10	5	1	4	11-12	16
8.ლაიფციგი	10	4	3	3	21-10	15
9.ჰოფენჰაიმი	10	4	2	4	19-15	14
10. გლადბახი	10	4	2	4	12-13	14
11. კიოლნი	10	3	4	3	15-18	13
12.ჰერტა	10	4	0	6	11-23	12
13.შტუტგარტი	10	2	4	4	15-19	10
14.ბოხუმი	10	3	1	6	8-18	10
15.აინტრახტი	10	1	6	3	10-15	9
16.აუგსბურგი	10	2	3	5	9-19	9
17.არმინია	10	0	5	5	6-16	5
18.ფიურტი	10	0	1	9	7-27	1

გერმანია. მე-2 ბუნდესლიგა

ჰანზა-ფორტუნა 2:1
ინგოლშტადი-რეგენსბურგი 0:3
კარლსრუე-პადერბორნი 2:4

ესპანეთი. პრიმერა დივიზიონი

კადისი-მალიორკა 1:1
ატლეტიკო-ბეტისი 3:0
ხეტაფე-ესპანიოლი 2:1
სოსიედადი-ბილბაო 1:1

საკუთხინიო ცხრილი:

1.სოსიედადი	12	7	4	1	17-10	25
2.რეალი	11	7	3	1	26-12	24
3.სევილია	11	7	3	1	19-7	24
4.ატლეტიკო	11	6	4	1	18-10	22
5.ბეტისი	12	6	3	3	19-15	21
6.რაიო	11	6	1	4	18-12	19
7.ოსასუნა	12	5	4	3	14-15	19
8.ბილბაო	11	4	6	1	11-7	18
9.ბარსელონა	11	4	4	3	16-12	16
10.ვალენსია	12	4	4	4	18-17	16
11.ესპანიოლი	12	3	5	4	12-13	14
12.მალიორკა	12	3	5	4	11-17	14
13.ვილარიალი	11	2	6	3	13-12	12
14.სელტა	11	3	1	7	10-14	10
15.ელჩე	12	2	4	6	9-15	10
16.ალავესი	11	3	1	7	6-14	10
17.გრანადა	10	1	5	4	8-14	8
18.კადისი	12	2	6	5	11-19	9
19.ლევანტე	11	0	6	5	11-20	6
20.ხეტაფე	12	1	3	8	6-18	6

ესპანეთი. სეგუნდა დივიზიონი

ფუენლაბრადა-ხიხონა 1:2

ოვიედო-მალაგა 2:1
ვალიადოლიდი-ეიბარი 2:0
სარაგოსა-მირანდესი 1:1

იტალია. სერია ა

ინტერი-უდინეზე 2:0
ჯენოა-ვენეცია 0:0
სასუოლო-ემპოლი 1:2
ფიორენტინა-სპეცია 3:0
სალერნიტანა-ნაპოლი 0:1
რომა-მილანი 1:2

საკუთხინიო ცხრილი:

1.ნაპოლი	11	10	1	0	23-3	31
2.მილანი	11	10	1	0	25-10	31
3.ინტერი	11	7	3	1	28-12	24
4.რომა	11	6	1	4	19-12	19
5.ატალანტა	11	5	4	2	20-14	19
6.ლაციო	11	5	3	3	22-19	18
7.ფიორენტინა	11	6	0	5	16-13	18
8.ვერონა	11	4	3	4	24-20	15
9.იუვენტუსი	11	4	3	4	15-15	15
10.ემპოლი	11	5	0	6	16-21	15
11.ტორინო	11	4	2	5	15-11	14
12.სასუოლო	11	4	2	5	15-15	14
13.ბოლონია	10	3	3	4	15-22	12
14.უდინეზე	11	2	5	4	12-16	11
15.სამპდორია	11	2	3	6	14-23	9
16.ვენეცია	11	2	3	6	8-17	9
17.ჯენოა	11	1	5	5	15-22	8
18.სპეცია	11	2	2	7	12-26	8
19.სალერნიტანა	11	2	1	8	10-23	7
20.კალიარი	10	1	3	6	12-22	6

საფრანგეთი. ლიგა 1

ანჟე-ნიცა 1:2
ბორდო-რეიმსი 3:2
მონპელიე-ნანტი 2:0
სტრასბური-ლორიანი 4:0
ტრუა-რენი 2:2
ბრესტი-მონაკო 2:0
კლერმონი-მარსელი 0:1

საკუთხინიო ცხრილი:

1.პსჟ	12	10	1	1	26-11	31
2.ნიცა	12	7	3	2	23-9	23
3.მარსელი	12	6	4	2	20-12	22
4.ლანსი	12	6	3	3	21-14	21
5.რენი	12	5	4	3	18-11	19
6.ლიონი	12	5	4	3	20-17	19
7.სტრასბური	12	5	2	5	22-16	17
8.ანჟე	12	4	5	3	18-15	17
9.ნანტი	12	5	2	5	16-14	17
10.მონაკო	12	5	2	5	17-16	17
11.მონპელიე	12	4	4	4	20-19	16
12.ლილი	12	4	3	5	15-18	15
13.ლორიანი	12	3	6	3	12-18	15
14.ტრუა	12	3	4	5	13-17	13
15.კლერმონი	12	3	4	5	14-23	13
16.ბორდო	12	2	6	4	16-24	12
17.რეიმსი	12	2	5	5	14-17	11
18.ბრესტი	12	1	6	5	14-20	9
19.მეცი	12	1	4	7	13-27	7
20.სტ.ეტიენი	12	0	6	6	12-26	6

ნიდერიანდები. ეხედივიზიონი

სპარტა-ფეინოორდი 0:1
ნაიმეგენი-გრონინგენი 3:0
ვალვაიკი-კამბური 0:1
უტრეხტი-ტილბურგი 5:1
იგლზი-სიტარდი 4:3

ჰოლანდია. ჰიმეირა ლიგა

მარიტიმუ-ჟილ ვისენტე 1:2
ბელენენსეში-სანტა კლარა 2:1
ფამილიკაო-ვიზელა 1:1

ჩეხეთი. პრემიერლიგა

უფა-ახმატი 1:0
არსენალი-სოჭი 1:2
ხიმკი-ურალი 0:0

ბელგია. ა დივიზიონი

ვარეგემი-გენკი 2:6
სერკლი-ანტვერპენი 0:1
ანდერლეხტი-ლუუვენი 2:2
გენტი-სენ ჟილუა 0:2

ავსტრია. ბუნდესლიგა

ტიროლი-აუსტრია 1:1
შტურმი-ვოლფსბერგერი 0:3
რაპიდი-ლინცერი 3:2

შოტლანდია. პრემიერლიგა

მოზერველი-რეინჯერსი 1:6

თურქეთი. სუპერლიგა

ქაისერი-ქარაგუმრუქი 2:1
ალანია-გიოზთეფე 2:2
გალათასარაი-გაზიანთები 2:0

საბერძნეთი. სუპერლიგა

ლამია-ატრომიტოსი 2:2
ლამიას მე-2 გოლი ბაჩანა არაბულმა გაიტანა
პანათინაიკოსი-ოფი 0:0
აეკი-არისი 2:1
იანინა-ასტერასი 1:1

შვეიცარია. სუპერლიგა

სიონი-გრასჰოპერსი 1:3
ლოზანა-ლუცერნი 1:1
ლუგანო-სერვეტი 2:1

ჩეხეთი. 1 ლიგა

ბანიკი-სპარტა 2:2
ბოლესლავი-ჰრადეც კრალოვე 3:2
იაბლონეცი-პარდუბიცე 1:1
სლავია-პლზენი 2:0

პოლონეთი. ექსტრაკლასი

პლოცკი-ვისლა 2:0
გურნიკი-ჩენსტოხოვა 0:0
ლეგია-პოგონი 0:2

უნგრეთი. 1 დივიზიონი

კიშვარდა-ზალაეგერსეგი 5:0
პუშ.აკადემია-ჰონვედი 3:1

უკრაინა. პრემიერლიგა

კოლოსი-ლვოვი 0:1
რუხი-ოლეკსანდრია 0:0
მეტალისტი-ზორია 1:6

დანია. სუპერლიგა

ნორდსიელანდი-ოლბორგი 0:2
რანდერსი-მიდტიულანდი 1:3
კოპენჰაგენი-ვეილე 3:0
ვიბორგი-ბრონდბიუ 0:1
სონდერიისკე-სარპსბორგი 0:6

შვედეთი. ალსვენსკა

ნორჩიოპინგი-ელფსბორგი 3:2
იორებრო-დიურგარდენი 0:1

ნორვეგია. ელიტსერია

ბოდოგლიმტი-სანდერფიორდი ... 1:0
ვიკინგი-სარპსბორგი 1:2
ოდ გრელანდი-მიონდალენი 2:2
სტაბეკი-ჰაუგესუნდი 2:1
სტრომგოდსეტი-მიოლდე 6:0
ვალერენგა-ბრანი 1:0

მოამზადა მიხეილ ჟორჟოლიანმა

სახალხო მკურნალ ლამარა თოდუას „მაღლიერების წიგნი“ ათასი მორჩენილი პაციენტის სამადლობელ წერილს ინახავს.

თოდუების საგვარეულო მეთოდით დამზადებული წამლები საუკუნეს ითვლის. როგორც ლამარა თოდუა ამბობს, ნებისმიერი დაავადების განკურნებისთვის საჭიროა ორგანიზმის გაწმენდა. ორკვირიანი პროცედურით გაგეწმინდებათ ორგანიზმი. ყველა ნაყენი მხოლოდ ეკოლოგიურად სუფთა, საგულდაგულოდ შეგროვილი მცენარეებით მზადდება.

ქალბატონი ლამარას მიერ მომზადებული მალამოები და ნიღბები კანს სრულ ელასტიკურობას უბრუნებს, ხელს უშლის კანის დანაოჭებას, სრულად არჩენს ჩირქოვან გამონაყარს, სწრაფად ახორცებს ნებისმიერი ხარისხის დამწვრობას, ყოველგვარი ნაირევისა და ლაქების გარეშე.

თოდუების ცნობილი წამლები უამრავ დაავადებას კურნავს.

ვმკურნალობ: 1. სებორეას; 2. გამაგრებას; 3. დამწვრობას; 4. ჰაიმორიტს; 5. ფრონტიტს; 6. თმის ცვენას, თუნდაც ბუდობრივს; 7. ქერტლს; 8. ტილებს მოგაშორებთ ერთი პროცედურით; 9. დისბაქტერიოზს, შეკრულობას, აშლილობას; 10. კუჭის წყლულს; 11. გულძმარვას („იჟოგას“); 12. მასტოპათიას, მკერდის გამაგრებას; 13. გამაგრებულ ნანემსარს; 14. ნაწოლებს დაჩირქებულს, თუნდაც დიაბეტიანებს; 15. მოვხსნი მეჭეჭებს; 16. განვკურნავ ჭიებისგან; 17. დავშლი კენჭებს, მოგაშორებთ მარილებს; 18. სოკოვან დაავადებებს; 19. გასქელებულ ფრჩხილებსა და დახეთქილ ქუსლებს; 20. ბუასილს.

ნანა ნადარეიშვილი: მაწუხებდა დისბაქტერიოზი, პარალელურად დამეწყო თმის ცვენა, მივმართე ქალბატონ ლამარას, ჩავიტარე მკურნალობა მისი მითითებით. ორ კვირაში მქონდა იდეალური შედეგი.

ხვიჩა გოგია: კანზე მქონდა გამონაყარი, ქალბატონი ლამარას დამზადებული სითხეებით ორგანიზმი გავიწმინდე, ვიყენებდი მისივე დამზადებულ მალამოებს, შედეგი მაქვს. დიდი მადლობა ქალბატონ ლამარას.

მზია დუნდუა: მქონდა ქალური პრობლემები, მივაკითხე ქალბატონ ლამარას და ვარ უკვე გამოჯანმრთელებული. დღესაც ვაგრძელებ მკურნალობას მისი მითითებით.

მისამართი: საბურთალო, ოთარ ჭილაძის 166. მე-10
კორპუსი. ტელ.: 599-16-10-82, 593-99-62-52

სამგლოვიარო და მისალოცი განცხადებები მიიღება
ტელ.: 599-532-690 – 12-დან 17 საათამდე

ჯოსვოხდი ბ



შვეულად: 2. ზღვის სიღრმის სა-ზომი ჰიდროაკუსტიკური ხელსაწყო; 3. წარწერა საფლავის ქვაზე; 4. ორგანიზმის შეგუება გარემო პირობებთან; 5. მღრღნელი, ჭია, მატლის ძველი ქართული სახელწოდება; 6. ამერიკის კინოაკადემიის პრიზი; 8. მდინარე მტკვრის მარჯვენა შენაკადი; 11. ტკბილი არომატული სპირტიანი სასმელი; 14. ცხოველის გარეგნული შეხედულება, აგებულება; 15. ქართველი მგოსანი; 16. ქართული გაზეთი; 17. თავისავე ქონში ჩახრაკული ცხვრის გულ-ღვიძლისგან მომზადებული კერძი; 19. საყვარლის კმაყოფაზე მცხოვრები მამაკაცი; 21. ველორიქშა ინდოეთში; 22. ცხოველთა სამყარო.

თარაზულად: 1. ოდისევსის მეუღლე, ცოლქმრული ერთგულების სიმბოლო; 5. სოფელი ხევსურეთში; 7. ფულის ერთეული შვეიცარიაში; 9. საგნის სახეცვლილება; 10. თავფეხიანთა კლასის ზღვის მოლუსკი, ძვირფასი საკვები პროდუქტი; 12. მიწის თხილი; 13. შინაური კურდღელი; 16. უნიკალური, ძალზე იშვიათი ნივთი; 17. არომატული, უალკოჰოლო, მატონიზირებელი სასმელი; 18. რაიონული ცენტრი აზერბაიჯანში; 20. ინგლისის ფეხბურთელთა გუნდი; 22. კომბინაცია პოკერში; 23. შრი-ლანკას დედაქალაქი; 24. ქართული ხალხური შრომის სიმღერა; 25. ბაღჩეული ხილი.

შეადგინა თ.გოგინაშვილმა

წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდების პასუხები:

კროსვორდი ა

შვეულად: 1. ყაზბეგი; 2. ჭრიჭინა; 3. სკეტჩი; 4. პემზა; 5. კელასური; 7. სკა; 11. თეატრი; 15. შკიპერი; 16. ჰამერი; 17. ვერფი; 18. ონიმა; 20. ნიყვი; 22. ლიდა.

თარაზულად: 6. ალონსო; 8. კრიტიკა; 9. რუმპელი; 10. ბაღდათი; 12. კეჩუა; 13. არესი; 14. გაგარინი; 19. ბაიდენი; 21. ლევილი; 23. ნორმა; 24. ეფენდი; 25. ტრამვაი; 26. ფართინგი.

კროსვორდი ბ

შვეულად: 2. ვაუჩერი; 3. ავტობანი; 4. ინტელექტი; 5. ჭერხო; 6. ამლახუ; 8. ქვევრი; 11. ნოვაცია; 14. ობსკურანტი; 15. გაგრიფში; 16. ესკადრონი; 17. დარიკო; 19. როლექსი; 21. პეპსი; 22. სანტი.

თარაზულად: 1. ავლაბარი; 5. ჭონა; 7. წიქარა; 9. კულტივატორი; 10. ლენტეხი; 12. ჩხავერი; 13. სექტორი; 16. ეპიგრაფი; 17. დუყი; 18. არიბა; 20. შტურმანი; 22. სუფსა; 23. ჰერაკლე; 24. ოხუნჯი; 25. სენტო.

ახალი თაობა

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.ge/akhalitaoba

ქართული ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსი

2 ნოემბერი

აშშ დოლარი — 3.1690

ევრო — 3.6659

დიდი ბრიტანეთის გირვანქა სტერლინგი — 4.3231

100 რუსული რუბლი — 4.4718

ამინდის ჰოროსკოპი 2 ნოემბრისათვის

დემბელემ შესაძლოა კიევის დინამოსთან ითამაშოს



უსმან დემბელემ ტრავმა ბოლომდე მოიშუშა. ის სათამაშოდ მზად არის და დიდი ალბათობით მას კიევის დინამოს წინააღმდეგ მოედანზე ვიხილავთ. თუმცა, შესაძლოა, ბარსელონას მწვრთნელმა სერჟიმ არ გარისკოს და 4 თვის უთამაშებელი დემბელე სასტარტო შემადგენლობაში არ დააყენოს.

ტრავმა მოიშუშა სერხიო არაუხომაც, რომელიც ბოლო ერთი თვის მანძილზე ვერ ეხმარებოდა გუნდს.

მესიმ ბარსელონაში დაბრუნებაზე ისაუბრა



ბარსელონას ლეგენდამ ლიონელ მესიმ გუნდში დაბრუნებაზე ისაუბრა და თქვა, რომ კარიერის დასრულების შემდეგ ის ამის გაკეთებას ისურვებდა. მესის თქმით, მას ყველაზე მეტად სპორტული დირექტორის თანამდებობა მოსწონს და სწორედ ამ თანამდებობაზე იმუშავებდა ის ბარსელონაში:

– ყოველთვის ვამბობდი, რომ ბარსელონა ძალიან მიყვარს და, ბუნებრივია, იქ დაბრუნებაზე ვფიქრობ, თუმცა ჯერ ფეხბურთელი ვარ და ეს მხოლოდ საფეხბურთო კარიერის დასრულების შემდეგ მოხდება.

პსჟ-ს სერხიო რამოსის გაშვება სურს

პსჟ-ს სერხიო რამოსის გაშვება სურს და შესაძლოა, მასთან კონტრაქტიც გაწყვიტონ, რადგან პარიზელები უკმაყოფილოები არიან რამოსის დამოკიდებულებით და იმით, რომ მას ტრავმა უკვე უნდა მოეშუშებინა.

გარდა ამისა, რამოსი მაღალ ანაზღაურებას იღებს, მოედანზე კი არ გამოდის, ამიტომ ის პსჟ-სთვის ზედმეტი ტვირთია. საუბარია იმაზეც, რომ შესაძლოა რამოსმა კარიერა დაასრულოს.

მშენებელმა გაურეცხავი წინდების გამო სამსახურში მისვლაზე უარი თქვა

ინგლისური სამშენებლო კომპანიის მფლობელმა კენ მურმა ისაუბრა იმაზე, თუ როგორ განაცხადა მისმა ერთ-ერთმა თანამშრომელმა უარი სამსახურში მისვლაზე იმის გამო, რომ სუფთა წინდები აღარ ჰქონდა.

ერთ დღეს მურმა უცნაური შეტყობინება მიიღო მშენებლისგან, რომელშიც ეწერა: „მე დღეს სამსახურში ვერ მოვალ იმის გამო, რომ ჩემმა მეგობარმა გოგონამ წინდები არ გამირეცხა და სუფთა წინდები აღარ მაქვს.“ მამაკაცმა დაამატა, რომ შიშველ ფეხზე ფეხსაცმელს ვერ ჩაიცვამს, ვინაიდან მათ დიდი ნახვრეტები გაუჩნდა, ასე რომ, სამუშაო დღის გაცდენა მოუწევდა. ბოლო კი მან ბოდიში მოიხადა და იკითხა, თუ სად აეღო სატვირთო მანქანის გასაღები.

გაურეცხავი წინდების ამბავმა კომპანიის ხელმძღვანელში თანაგრძნობა ვერ გამოიწვია. პასუხად მან ჰკითხა, ხომ არ დასცინოდა ის მას და უთხრა, მის ადგილზე სხვა რომ ყოფილიყო, ასეთი განცხადების შემდეგ სამსახურიდან გაათავისუფლებდა.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

ასტროპროგნოზი

2 ნოემბრისათვის

ვერძი – წინააღმდეგობრივი დღეა. ნებისმიერი გადაწყვეტილება საგულდაგულო გადამოწმების შემდეგ მიიღეთ. **კურო** – დისციპლინირებულობა, მოთმინება და თავშეკავება დღის დევიზია. ნუ იქნებით ზედმეტად თავდაჯერებული. **ტყუპები** – ჭორებს ნუ აჰყვებით. იღბლიანი დღეა საქმიანი მოლაპარაკებებისათვის. **კირჩხიბი** – ენერგიულად ხართ. ისეთ საქმეებსაც კი მარტივად აგვარებთ, რომლებსაც დიდი ძალისხმევა სჭირდება. **ლომი** – პერსპექტიული დღეა. ახალი იდეების რეალიზებას სულ იოლად მოახერხებთ. ნებისმიერი წამოწყება სასურველი შედეგით დამთავრდება. **ქალწული** – საკმაო სირთულეები შეგხვდებათ. შესაძლოა, ვალის დაბრუნება და ხელახლა აღება მოგიხდეთ. **სასწორი** – საყიდლებზე წასვლას ნუ იჩქარებთ. უმჯობესია, თუ ჯერ დაწყებულ საქმეს დაამთავრებთ. **ღრიანკალი** – არ გარისკოთ. ყველა საქმე მომდევნო კვირისათვის გადადეთ. დაეხმარეთ ბავშვებსა და მეგობრებს. **მშვილდოსანი** – გამორიცხული არ არის, საქმიან შეხვედრაზე გაემგზავროთ ან შემოქმედებითი არეალი გაიფართოთ. მატერიალური მდგომარეობა გიუმჯობესდებათ. **თხის რქა** – საქმიანი პარტნიორები იმედს გაგიცრუებენ. ზედმეტად ნურავის მიენდობით. **მერწყული** – აქტიური, ნაყოფიერი დღეა. ნებისმიერი პრობლემა დაუყოვნებელ მოგვარებას მოითხოვს. იყავით გონიერი და წინდახედული. **თევზები** – ინტუიცია გიმახვილდებათ. შინაგან ხმას მოუსმინეთ და სპონტანურად ნუ იმოქმედებთ.

გისუხვებთ ბედნიერ დღეს!

იუმორი

კარზე კაკუნია. მამაკაცმა გაიღო და მშვენიერი გოგონა ეუბნება:

– გამარჯობათ, მე თქვენი ახალი მეზობელი ვარ, მინდა გავერთო, ვიმხიარულო, დავლიო და ვიჟიმაო, გცალიათ?

– დიახ, რა თქმა უნდა!

– მაშინ ჩემ ძაღლს დაგიტოვებთ და მიმიხედეთ.

ერთი მეგობარი მეორეს ეკითხება:

– თუ იცი, რატომ არ მიდიან დეპუტატებად მეძავები?

– არა და რატომ?

– იმიტომ, რომ ისინი ნაკისრი მოვალეობის შესრულებას არიან დაჩვეულები.

ქალი კაცს ეუბნება:

– შენ ჩემი არწივი ხარ?

– ასე მოგწონს ჩემთან?

– არა, უბრალოდ, წინდები რომ გაიხადე, ფეხებზე დასაჭრელი ფრჩხილები დავინახე...

ბავშვი მამას ეუბნება:

– მამა, შენი ტელეფონი რეკავს.

– ნახე ერთი, ვინ რეკავს.

– ეკრანზე წერია „ზეციური რისხვა“...

– მომეცი ტელეფონი, დედაშენია...

ბიოლოგიის გაკვეთილზე მასწავლებელი ადამიანის ჩონჩხზე ანატომიას ხსნის და სხეულის მონაკვეთებზე ჯოხით მიუთითებს.

– ბავშვებო, აქ იყო გული, აქ ფილტვები ჰქონდა, აქ ღვიძლი, აი აქ თირკმლები... აი აქ კი ასო!

ამ დროს წამოხტა ერთი მოსწავლე და ეუბნება:

– მასწავლებელო, მაგას მანდ ასო ხან ჰქონდა და ხან არ ჰქონდა.

– რატომ?

– იმიტომ, რომ ეგ ქალის ჩონჩხია.

ჯანმრთელობის სამინისტროს განცხადება:

– ვინაიდან სამედიცინო მომსახურება ძვირია, გთავაზობთ გამოკვლევის იაფ მეთოდს: მოფსით ხის ძირში და თუ ჭიანჭველები დაეხვია, შაქარი გაქვთ მომატებული, თუ ბუზი დაეხვა, ანთება გაქვთ, თუ ხორცის სუნი ასდის, ქოლესტერინი გაქვთ მომატებული. თუ ტრუსიკის ჩაწევა დაგავიწყდათ, სკლეროზი გაქვთ და თუ ყნოსვა დაკარგეთ და შარდის სუნი ვერ იგრძენით, მაშინ კორონავირუსი გაქვთ.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

ზაზა ურუშაძე 55 წლის გახდებოდა

რეჟისორი ზაზა ურუშაძე 55 წლის გახდებოდა. ის 53 წლის ასაკში გარდაიცვალა, თუმცა ქართულ კინემატოგრაფში ძალიან მნიშვნელოვანი კვალი დატოვა.

„აქ თენდება“, „დარჩი ჩემთან“, „მანდარინები“, „სამი სახლი“, „აღსარება“, „ბოლო გასეირნება ყარაბაღში“, „ანტონი“ – ეს იმ ფილმების ჩამონათვალია, რომლებიც რეჟისორმა გადაიღო.

„მანდარინები“ „ოქროს გლობუსზე“ და „ოსკარზე“ იყო წარდგენილი, „ანტონი“ კი რეჟისორის უკანასკნელი ფილმია. ზაზა ურუშაძემ მასზე მუშაობა დაასრულა, თუმცა პრემიერას ვეღარ დაესწრო.

რეჟისორი ვაკის საცურაო აუზზე გარდაიცვალა.

„მასტერშეფი“ ომარ გოგოხიას დაატოვებინეს

კულინარიული შოუ „მასტერშეფი“ ომარ გოგოხიამ დატოვა. შეფების თეკუნა გაჩეჩილაძის, კონსტანტინე თედელურისა და ლუკა ნაჭყებიას გადაწყვეტილებით, პროექტის დატოვების ყველაზე რეალური კანდიდატი სწორედ ომარი აღმოჩნდა.

ჰელოუინის ტურში ომარის მიერ შოუს დატოვება მაყურებელმა გააპროტესტა და შეფებს ზოგიერთი კონკურსანტის ტურიდან ტურში გადათრევაში დასდო ბრალი. მაყურებლის ნაწილმა კი მეექვსე სეზონს „მასტერშეფის“ ისტორიაში ყველაზე სუსტი უწოდა.

რაც შეეხება იმუნიტეტს, ამ ტურში გამარჯვება რუსო დაუშვილმა მოიპოვა და იმუნიტეტის ოთახში მერი ბარაბაძესთან ერთად გადაინაცვლა.

მოამზადა ეკა ირემაშვილმა

გოგონას საქანელაზე ქანაობა სიცოცხლის ფასად დაუჯდა

ბოტსვანაში დასახლება მოლეპოლოლეში გოგონამ საქანელაზე ქანაობა გადაწყვიტა და შემთხვევით თოკით გაიგუდა. მშობლები მეზობლის გასვენებაში იმყოფებოდნენ, ბავშვები კი სახლში მარტო დარჩნენ. ცხრა წლის გოგონა თვითნაკეთ საქანელაზე ქანაობდა და შემთხვევით იმ თოკით დაიხრჩო, რომელზეც საქანელა იყო ჩამოკიდებული. მისი ხუთი, ორი და ერთი წლის დები და ძმები ვერ მიხვდნენ, რა ხდებოდა და თამაშს აგრძელებდნენ. გოგონას უსულო ცხედარი დასაფლავებიდან დაბრუნებულმა მისმა დეიდამ აღმოაჩინა. მან პოლიცია გამოიძახა. სამართალდამცავებმა გოგონა სასწრაფოდ საავადმყოფოში გადაიყვანეს, სადაც ექიმებმა მისი გარდაცვალება დაადასტურეს.

ადგილობრივი პოლიციის წარმომადგენლის, ბენედიქტ მატლხოს თქმით, სამართალდამცავები ცდილობენ დაადგინონ, თუ რა მოხდა.

ქალმა ქმარი ფსიქიკურ დაავადებაში დაარწმუნა და მსხვილი თანხა მოპარა

ამერიკის კონეკტიკუტის შტატის მცხოვრებ ქალს ბრალად წაუყენეს, რომ მან დაარწმუნა მეუღლე, რომ მას ფსიქიკური აშლილობა ჰქონდა და მსხვილი თანხა მოპარა.

63 წლის დონა მარინო თაღლითობაში ეჭვმიტანილის რანგში მას შემდეგ დააკავეს, როდესაც პოლიციას მისმა მეუღლემ მიმართა. მამაკაცის თქმით, მან არ იცოდა, რომ ცოლი ფულს ჰპარავდა. სავარაუდოდ, ქალი გეგმაზომიერად არწმუნებდა ქმარს, რომ მას ალცჰეიმერის დაავადება სჭირდა.

ქალს ბრალად აქვს წაყენებული მეუღლის ხელმოწერის გაყალბება მისი პენსიის, სოციალური დახმარებების და შესრულებული სამუშაოების კომპენსაციის ასაღებად. უკანონოდ მიღებული თანხები ქალს ცალკე საბანკო ანგარიშზე შეჰქონდა. ქალის მტკიცებით, ის ხშირად გამოიყენებდა ფულს კეთილ საქმეებზე: ნათესავების დასახმარებლად, საცხოვრებლის ქირის გასასტუმრებლად, პროდუქტებისა და ავტომობილის შესაძენად. მარინოს ქურდობის და საბუთების გაყალბების ბრალდება წაუყენეს და ის პატიმრობაში იმყოფება.

ლეოპარდი ვაქცინის მწარმოებელი კომპანიის თანამშრომელს თავს დაესხა

ინდოეთის მახარაშტრას შტატის ქალაქ პუნას მცხოვრებს, რომელიც დილის ვარჯიშს ასრულებდა, თავს ლეოპარდი დაესხა.

თავდასხმა იმ დროს მოხდა, როდესაც 45 წლის სამბახჯი ბაბან ატოლი, ვაქცინის ინდური მწარმოებელი კომპანიის თანამშრომელი, ქუჩაში ვარჯიშით იყო დაკავებული. მტაცებელი მამაკაცს ზურგიდან დაესხა თავს, მაგრამ მისი მოგერიება მოვარჯიშეს ნაცნობმა შეძლო და განგაში ატეხა. მამაკაცს აღნიშნული თავდასხმის შედეგად დაზიანებები დარჩა მარცხენა ფეხზე, ზურგსა და მკერდზე. პოლიციის და სატყეო მეურნეობის დეპარტამენტის ერთობლივი ოპერაცია გვიან ღამემდე გრძელდებოდა და ლეოპარდის დაჭერით დასრულდა. მტაცებელი გარეული ცხოველების დახმარების ცენტრში გადაიყვანეს. მოგვიანებით მას უსაფრთხო ტერიტორიაზე გადაიყვანენ და გაუშვებენ.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

ჯვარედინი



შვეულად: 1. ძველებური ქართული ვერცხლის ფული; 2. ქართული კინოკომედია „დაკარგული სამოთხეს“ რეჟისორი; 3. მდინარე ციმბირში; 4. ვირტუოზი ბელგიელი მევიოლინე მამაკაცი, კომპოზიტორი; 5. ისტორიული ქალაქი-სახელმწიფო მესოპოტამიაში; 7. არაბეთის ზღვისპირა კურორტი ინდოეთში; 11. ფილიპინების ყველაზე დიდი კუნძული; 15. ქალაქი იმერეთში; 16. კომპანია „ზარას“ მფლობელი; 17. უნგრელი მწერალი, რომან „ოქროს კაცის“ ავტორი; 18. ტრაგედია „ოტელოს“ პერსონაჟი; 20. ლუკ ბესონის თრილერი; 22. გემის სიჩქარისა და განვლილი მანძილის საზომი ხელსაწყო.

თარაზულად: 6. ქართული სადაზღვევო კომპანია; 8. ინგლისის პრემიერ-მინისტრი; 9. მარმარილოს საბადო ტყიბულის რაიონში; 10. ვაჟა-ფშაველას მშობლიური სოფელი; 12. ბალნეოლოგიური კურორტი რაჭაში; 13. გერმანული ავტომობილი; 14. სპირტიანი სასმელების მწარმოებელი ქართული ფირმა; 19. საქართველოში გავრცელებული წითელი ძვირფასმერქნიანი წიწვოვანი ხე; 21. პატარა დასახლებული პუნქტი; 23. კოლხეთის მითოლოგიური მეფე; 24. გურიაში გავრცელებული შავყურძნოვანი ვაზის უძველესი ქართული ჯიში; 25. რაიონული ცენტრი მესხეთში; 26. მსხვილი სამრეწველო-სავაჭრო გაერთიანება.

შეადგინა თ.კოპალეიშვილმა